# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 ივლისი, 2009 წელი.

№ 132 (6233)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge



ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




## დასტურ, გენიოსი ყოფილა მოლა ნასრედინი!

ანუ რატომ და რითი აჯობებდა დღევანდელ სამ „რუსთავი-2"-ს, ერთად აღებულს, ერთი ადრინდელი „იმედი"

2

## „შირაზის ვარდების" ჩინოვნიკური ეკლები

7

როდის ველირსებით ჟურნალისტები პასუხს ელემენტარულ კითხვებზე?

## რა დაგვიჯდება გაყიდული მაგულის გამოსყიდვა?



როდემდე შეიძლება მოვიტყუოთ თავი?

6

## ამერიკაში ჩაფიქრებული და საქართველოში ახდენილი ოცნება



7

## ელექტრო-ენერგია გვაკლიაო, და რაჭა გავწიროთ?!

6

## ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ერთი ქალი მართავს?

3



## რუსეთთან დაბალანსებულ ურთიერთობაზე საუბარი ღალატია?!

2



3

## რეალურ რეიტინგს თავისუფალი არჩევნები განსაზღვრავს და არა მიტინგებზე ხმამაღალი განცხადებებით მოწყვეტილი წამიერი აპლოდისმენტები

№ 132. ოთხშაბათი, 1 ივლისი, 2009 წელი.

## არც — ფიცი, არც — ბოლო!

**თითქოს რა გენიოსობა უნდა იმის თქმას, — რამდენიც არ უნდა იძახო ჰალვა, ჰალვა, პირში სიტკბოს ვერ იგრძნობო.**

**დაახლოებით ისეა, ჩვენი ხელისუფლება რომ ამტკიცებს, ჭეშმარიტ დემოკრატიას ვაშენებთ, უფრო მეტიც, დემოკრატიის შუქურა ვართო, ჩვენ კი ამ დემოკრატიის არამცთუ „სუნსა“ და „გემოს“ ვერ ვგრძნობთ, მის ნატამალსაც ვერ ვხედავთ.**

**მოკლედ, უზარმაზარ საჰაერო ლაინერს რომ აუჩინარებს ხალხის თვალწინ, ის დავით კოპერფილდი მიმიქარავს ჩვენს ხელისუფლებასთან ილუზიონისტურ ხელოვნებაში.**

**და სწორედ ამ ხელისუფლებას უკვირს მერე, რად არ მოდიან ჩემთან დიალოგზე, რად არ სჯერათ ჩემიო.**



# დასტურ, გენიოსი ყოფილა მოლა ნასრედინი!

## ანუ რატომ და რითი აჯობებდა დღევანდელ სამ „რუსთავი-2“-ს, ერთად აღებულს, ერთი ადრინდელი „იმედი“

შესავალი რომ არ გამიგრძელდეს, ახლა საქმეზე გადავალ. თემა, საინფორმაციო თვალსაზრისით, ცოტა მოძველებული კია, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ყავლგაუსვლელი და უაღრესად მტკივნეულია:

**მამისონის უღელტეხილი, აფეთქებული თუ ჩანგრეული „ნიკოლოზის“ ხიდი და მიტაცებული თუ არდათმობილი ქართული მიწის ახალი კილომეტრები!**

სწორედ ამ საკითხებზე ოთხ მცირე ამონარიდს გაგაცნობთ ქართული გაზეთების პუბლიკაციებიდან და ერთ სატელევიზიო გადაცემასაც „გადავწვდები“.

**გივი თარგამაძე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე: „ის, რომ ამ აკვიატებულ მეტეოსადგურზე ამ წუთში არ დგანან ქართველი მესაზღვრეები, არ ნიშნავს, თითქოს რუსებმა გადაიბარეს“ (გაზეთი „რეზონანსი“).**

**ხათუნა ოჩიაური, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი: „სიმართლე არის ის, რომ ქართველი მესაზღვრეები დგანან ძველ სადისლოკაციო ადგილას, ანუ მამისონის უღელტეხილზე არსებული მეტეოსადგურის შენობაში. ეს არის უკვე გადამოწმებული. რატომ აპელირებენ იმაზე, რომ თითქოს ჩვენებმა დატოვეს საზღვარი, ააფეთქეს ხიდი და უკან დაიხიეს, ჩემთვის გაუგებარია“ (გაზეთი „რეზონანსი“).**

ჩაკირკიტება არ მიყვარს და ამ ორი, ერთმანეთისგან თითქმის კარდინალურად განსხვავებული გამონათქვამით არ დავიწყებ „რაღაც-რაღაცებს“, რადგან სინამდვილეში, შესაძლოა, უბრალო გაუგებრობასთან გვქონდეს საქმე. თუნდაც ასეთთან: როდესაც ბატონი გივი დაინტერესდა მამისონის უღელტეხილზე და, კერძოდ, მეტეოსადგურში არსებული ვითარებით, **„იმ (ამ) წუთში“** ქართველი მესაზღვრეები იქ არ იდგნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, ვთქვათ, სიგარეტის საყიდლად იყვნენ წასული, ხოლო როცა ქალბატონმა ხათუნამ გადაწყვიტა იქაური ვითარების შემოწმება, ჩვენს მესაზღვრეებს სიგარეტი უკვე ნაყიდი ჰქონდათ და მეტეოსადგურის შენობაში ისხდნენ.

აუჰ, ძლივს არ ამოვისუნთქე!

**ალბათ, სწორედ ასე იყო, თორემ როგორ შეიძლება, კომიტეტის წევრს იმავე კომიტეტის თავმჯდომარეზე უფრო ზუსტი და გადამოწმებულ-უტყუარი მონაცემები ჰქონდეს!**

**მით უმეტეს როგორ შეიძლება, რომ ბატონი გივი ტყუოდეს!**

მაგრამ მომდევნო ორ ამონარიდს რა ვუყოთ, რომლებიც ახლა უნდა შემოგთავაზოთ და რომლებიც ისევე ვერ თავსდებიან ერთმანეთში და ვერ „ძოვენ“ ერთად, როგორც წყალი და ზეთი.

**რუსუდან კერვალიშვილი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი: „საზღვართან ბოლომდე მივედით და მინდა გითხრათ, — ჩვენი საზღვრიდან ერთი სანტიმეტრითაც არ გადმოგვიწევია. არავისთვის არაფერი დაგვითმია“. („კვირის პალიტრა“, №26).**

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში: „მამისონის საგუშაგო კონტროლდება რუსებისა და ოსების მიერ. რუსებისა და ოსების მიერ კონტროლდება მეტეოსადგურიც. საგუშაგოზე ორივეს დროშა ფრიალებს“ (გაზეთი „რეზონანსი“).**

ახლა რა ვქნა? თუ ზევით როგორღაც მოვახერხე ხელისუფლების წარმომადგენელთა განსხვავებული გამონათქვამების დაცვა და შეძლებისდაგვარად „შეთანხმება“, ამჟამად რა ვუყო ბოლო ორი ამონარიდის ავტორთა აბსოლუტურად განსხვავებულ მოსაზრებებს?

**მით უფრო, რომ ქალბატონი რუსუდანი და ბატონი მამუკა, რამდენადაც ვიცი, ერთად იყვნენ მამისონზე!**

არ ვიცი, რა გავაკეთო! ცხონებული ეროსი მანჯგალაძის კინოგმირისა არ იყოს, სამჭკუაშვილი ვარ, ღმერთი კი არა!!

ჰოდა, ისევ თქვენ უნდა მისაშველოთ, ძვირფასო მკითხველებო! მხოლოდ თქვენი მეიმედებით და თქვენ უნდა გამომიყვანოთ ვითარებიდან ისევე, როგორც ერთ ანეკდოტში „დანაშაულის ნიშნებდამჩნეული“ მექალთანე ჭიჭიკია გამოჰყავდა მდგომარეობიდან თავის ცოლს.

ახლა სწორედ იმ ჭიჭიკიას ცოლის მდგომარეობაში ვარ, ვერანაირი გამართლება რომ ვერ მოუძებნა თავისი ქმრის უკანალზე აღმოჩენილ პომადის ნაკვალევს და რომელსაც, ამით გაოგნებულს, ჭიჭიკიამ შეუძახა: ჰე, ქალო, მოიფიქრე რამე, თორემ დაგვენგრა ოჯახიო!

**თქვენც სასწრაფოდ მოიფიქრეთ და მიკარნახეთ მდგომარეობიდან გამოსავალი, ძვირფასო მკითხველებო, თორემ დაგვემხო თავზე ჩვენი სიმართლის მოყვარული და მუდამ მხოლოდ სიმართლის მთქმელი ხელისუფლების მწყაზარი სახე!**

მანამდე კი ერთ ტელეგადაცემას შევეხები — **„ხალხზე გამარჯვებული“** (და არა **„გამარჯვებული ხალხის“,** როგორც ეს თავად დაირქვეს ამ ტელევიზიის მუშაკებმა „ნარევოლუციევს“ძ „რუსთავი-2“-ის სიუჟეტს, მამისონის უღელტეხილისადმი მიძღვნილს.

მე პირადად ეს გადაცემა არ მინახავს, მაგრამ როგორც ჩემმა ერთმა ონელმა კოლეგამ მითხრა, თურმე ამ ტელეარხის თავხედური ტყუილით გაოგნებული რომ უყურებდა კადრებს, **რუსთავორელებს ფირზე აღუბეჭდავთ და გვიჩვენეს არა „ნიკოლოზის“, არამედ საცალფეხო სამონადირეო ბილიკის გაგრძელება — ჩანგრეული პატარა „ხიდუკა“!**

და სწორედ ახლა მინდა „გავშიფრო“ ამ წერილის ქვესათაური: **ადრეც დამიწერია** (მერე სხვებმაც აიტაცეს) **და ახლაც გავიმეორებ — დღეს საქართველოში სამი „რუსთავი-2“-ია: „პირველი „რუსთავი-2“ — ე. წ. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“; მეორე — „რუსთავი-2“ — თვით „„რუსთავი-2“ და მესამე „რუსთავი-2“ — „იმედი“.**

ჰოდა, მთელი კატეგორიულობით ვამბობ: ამ სამ „რუსთავი-2“-ს, ერთად აღებულს, აჯობებდა ერთი ადრინდელი „იმედი“, რომელიც თუნდაც ნაღდ, აფეთქებულ თუ ჩანგრეულ „ნიკოლოზის“ ხიდს გადაიღებდა და არა სამონადირეო „ხიდუკას“, იმ მეტეოსადგურსაც „ჩააკარტიჩკებდა“, რითაც საბოლოოდ მოეფინებოდა ნათელი მამისონის უღელტეხილზე არსებულ ვითარებასაც და ბევრ სხვა რამესაც, რაც ახლა საქართველოში ხდება და, შესაძლოა, არც მომხდარიყო, ხალხს სრული სიმართლე რომ სცოდნოდა.

**მოკლედ ის გულმართალი „ბავშვია“ საჭირო, „მეფე შიშველიაო“ რომ დაიძახებს!**

**თუმცა რაკი ჯერჯერობით ასეთი ბავშვი არ ჩანს, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი უახლოეს მომავალში არ „დაიბადოს“ და, მით უფრო იმას, რომ მეფის „სიშიშვლე“ ბოლომდე შეუმჩნეველი დარჩეს!**

**რუსლან რუსია**

## ოპოზიცია

# რუსეთთან დაბალანსებულ ურთიერთობაზე საუბარი ღალატია?!

## როგორია ეროვნულ-დემოკრატების დიპლომატია?

**ეროვნულ-დემოკრატები მიიჩნევენ, რომ რუსეთის მიერ დაწყებული სამხედრო სწავლება „კავკასია-2009, რომელიც ჩვენს საზღვრებთან მიმდინარეობს, მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ამაში ახალი არაფერია, რადგან ასე ფიქრობს საქართველოს მოსახლეობის დიდი უმეტესობაც. თუ არ ფიქრობს, ეჭვობს მაინც გასული წლის სწორედ ასეთი ტიპის სწავლების მწარე გამოცდილების გამო. მაგრამ ეროვნულ-დემოკრატებმა ამ თემას საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნეს, სადაც ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ განაცხადეს, რომ „რუსეთის მიზანია, დასრულდეს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და ჩვენი ქვეყნის დასავლური ვექტორი ჩრდილოეთურით შეიცვალოს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი მიიჩნევს, რომ ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსი მიმართული უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებისკენ, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია.“**

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა **ბაჩუკი ქარდავამ** საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ ძალას მიმართა, საჯაროდ გამოაქვეყნონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები, რადგან ქართული საზოგადოება ღირსია, ქვეყანაში არსებული შიდა და გარე საფრთხეების ფონზე, ფლობდეს ინფორმაციას, რომელი პოლიტიკური ძალა რა პოზიციაზე დგას.

მართალი გითხრათ, ძალიან ბევრმა პოლიტიკურმა ძალამ არაერთხელ აღნიშნა და მემორანდუმიც კი გამოაქვეყნა მათი საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ, სადაც ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია გარდაუვალ აუცილებლობად არის მიჩნეული. თუმცა ამასთანავე, მნიშვნელოვანია რუსეთთან კეთილმეზობლური, დაბალანსებული ურთიერთობის აღდგენა. ხოლო ნეიტრალიტეტი — აბსოლუტურად მისაღებია ლეიბორისტებისთვის.

ბაჩუკი ქარდავამ სწორედ „დაბალანსებულს“ და „ნეიტრალიტეტს“ გაუსვა ხაზი და მას დასავლური კურსის უარყოფის შენიღბული მცდელობები უწოდა. რატომაც უწოდა, ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა. ხელისუფლება ხომ ყოველდღე იმ აზრს აწოდებს საზოგადოებას, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია რუსული ფულით საზრდოობს. ედპ-ს ლიდერიც მიიჩნევს, რომ რუსეთი არა მხოლოდ სამხედრო გზით, არამედ სპეცსამსახურების მეშვეობითაც ცდილობს საქართველოს პოლიტიკაში ჩარევას და გავლენის მოპოვებას, რაც იქნება უკანასკნელი წვეთი და ბოლო მოეღება ქვეყნის სტაბილურობას. ეს საფრთხეები ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს. ახლა გააქტიურდა რუსეთში თავმოყრილი რამდენიმე პიროვნება, რომელთაც ბიზნესი აქვთ. ისინი აცხადებენ, რომ პოლიტიკაში არ ერევიან, მაგრამ ამავე დროს მაქსიმალურად ცდილობენ ქართულ პოლიტიკაში გამოჩენას, — თქვა ბაჩუკი ქარდავამ, მაგრამ ამ ადამიანების დაკონკრეტებას თავი აარიდა. მათ გასაგონად მხოლოდ ის მიანიშნა, რომ მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებებს: რა მიზანიც არ უნდა ჰქონდეს პარტიას, როგორ ცუდ დამოკიდებულებაშიც არ უნდა იყოს ხელისუფლებასთან, რუსეთიდან დაფინანსების მიღება ყოვლად გაუმართლებელია.

თუ რომელი პარტია აპირებს ამ გზას დაადგეს, არც ეს დაასახელა, მაგრამ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ცვლილებები შეინიშნება.

ედპ-ს ლიდერს არც ხელისუფლების კრიტიკა გამორჩენია და მოუწოდა, რომ რუსული აგრესიის გააქტიურების ფონზე, რუსული ბიზნესის გავლენის გაზრდა და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტების გასხვისება საეჭვო წარმომავლობის მქონე ბიზნეს-ჯგუფებზე დაუშვებელია.

**ჩვენს კითხვაზე, რამდენად მოიტანს სიკეთეს რუსეთთან ასეთი რადიკალიზაცია, ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, ბაჩუკი ქარდავამ გვიპასუხა, რომ საქართველოს სრულ დეოკუპაციამდე რუსეთთან სრულყოფილი პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელია. მხოლოდ ცალკეული განცხადებების კეთება რუსეთს არ აშფოთებს. მას აღიზიანებს ის პოლიტიკური კურსი, რასაც საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია ჰქვია. ამ კურსისგან გადახვევა კი ღალატის ტოლფასია, — დასძინა მან.**

**თეა მოსია**

თვალსაზრისი

# რეალურ რეიტინგს თავისუფალი არჩევნები განსაზღვრავს და არა მიტინგებზე ხმამაღალი განცხადებებით მოწყვეტილი წამიერი აპლოდისმენტები

**გვესაუბრება ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანი, მეცნიერ-ანალიტიკოსი ნესტან კირთაძე**

**— ქალბატონო ნესტან, როგორ შეაფასებთ გასული კვირის ბერლინის ცნობილ შეხვედრას?**

— იმ აჟიოტაჟთან დაკავშირებით, რომელიც ხელისუფლებამ შესაბამისი ფარული კადრების გავრცელების შემდეგ შექმნა, მინდა, გავიხსენო 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც კახა თარგამაძემ, როგორც შს მინისტრმა, მაშინდელი „მოქკავშირის" გამარჯვებისთვის უზარმაზარი როლი შეასრულა. არასოდეს დამავიწყდება ის ხვევნა-კოცნა, რომელიც სააკაშვილმა თარგამაძეს ჯერ პარლამენტში, მოგვიანებით კი ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში შს მინისტრის პატივსაცემად გამართულ ვახშამზეც გაუმართა. ვინ-ვინ და თარგამაძემ ზუსტად იცოდა, ვის გამო გამოიდო ასე თავი. 1999 წლის არჩევნების შედეგი გახლდათ ის, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად შიდასარევოლუციო პოზიციების დაკავება დაიწყო და ქვეყანა მაშინვე გაიწირა დაპირისპირებისა და სახელმწიფოებრივი გადატრიალებისთვის. ერთმანეთის მიყოლებით გადადგნენ შს მინისტრი და მაშინდელი გენერალური პროკურორი, პროფესორი გია მეფარიშვილი. კარგად მახსოვს მეფარიშვილის სიტყვები, „ბავშვის ერთ ცრემლად არ ღირს არც ერთი ადამიანის თანამდებობა და მე მივდივარ ამ პოსტიდან".

ჩემთვის ეს იყო დემოკრატიული პროცესების ნიმუში, მაგალითი იმისა, როგორ შეიძლებოდა, ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირები, მიუხედავად მათ მიმართ სიმპათია-ანტიპათიისა, თანამდებობიდან წასულიყვნენ. თუმცა მეორეს მხრივ, ყველანი ვხვდებოდით, რომ ქვეყანაში ექსტრემისტი პოლიტიკური ლიდერების ჯგუფი მოდიოდა და ხვალ და ზეგ პოლიტიკური ექსტრემიზმის ეპოქა დაიწყებოდა. გადადგომის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს თარგამაძე დამიკავშირდა, შეხვედრა მთხოვა და მითხრა, რომ ჩემთვის საინტერესო ინფორმაციას ფლობდა. **მაშინ მან რამდენიმე მიმართულებით გამაფრთხილა, მათ შორის უნივერსიტეტის გაცამტვერების გეგმაზე ისაუბრა. მან დამისახელა კონკრეტული გვარები, დროში გაწერილი თარიღები, ერთი სიტყვით, უნივერსიტეტის დაშლის მთელი გეგმა გადმომცა.** მიუხედავად ამ ინფორმაციის მიღებისა, ეს პროცესი ვერაფრით შევაჩერეთ, ვინაიდან მოგეხსენებათ, როგორც განვითარდა პროცესები. პოლიტიკური ექსტრემიზმი ერთგვარი მოდური მიმდინარეობა გახდა და პრაქტიკულად 2003 წლის 22 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა, რასაც უკვე ქვეყანაში კონსტიტუციური გადატრიალება მოჰყვა და დღევანდელ დღემდე უმძიმესი შედეგით მოვედით.



**— ვინ აპირებდა უნივერსიტეტის დაშლას? თქვენ თქვით, რომ თარგამაძემ გვარებიც დაგისახელათ...**

— მიხეილ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის" ჯგუფი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, რომელთა ავანგარდში „თავისუფლების ინსტიტუტი" გამოდიოდა, ასევე სოროსის ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელსაც კახა ლომაია ხელმძღვანელობდა. სწორედ კახა ლომაია გახდა შემდეგ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების „მესაფლავე".

**— ქალბატონო ნესტან, თარგამაძე ქართული საზოგადოების ცნობიერებაში კრიმინალად დარჩა. აქედან გამომდინარე, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ გამყრელიძისა და გაჩეჩილაძის შეხვედრა ამ პიროვნებასთან?**

— მოქმედ ქართულ ანტიჭუმანურ კანონმდებლობას, რომელიც 2003 წლის შემდეგ ჩამოყალიბდა, ძალიან ხშირად ვაკრიტიკებ, თუმცა მიხეილ სააკაშვილი ვერ დამისახელებს ვერც ერთ კანონს, რომელიც ქართველების ერთმანეთთან შეხვედრას კრძალავს. რაც შეეხება მათი საუბრის თემატიკას, აქ მარჩიელობა საჭირო არ არის: რადგან ამ შეხვედრის ექსკლუზიური კადრების მოპოვება მოხერხდა, ასევე ექსკლუზიურად შეიძლება, განავითარონ გამოძიებაც, რა თქმა უნდა, შესაბამისი დაინტერესების შემთხვევაში.

**— როგორც ოპოზიციონერმა ლიდერებმა, მოგვიანებით კი თავად თარგამაძემაც განაცხადეს, შს ყოფილმა მინისტრმა მათ საინტერესო ინფორმაციები მიაწოდა. როგორ ფიქრობთ, რეალურად გააჩნია თუ არა თარგამაძეს ისეთი საინფორმაციო რესურსები, როგორსაც თავად ასახელებს და სანდოა თუ არა მისი ინფორმაცია?**

— ექსკლუზიური ინფორმაციის ფლობა თარგამაძეს თავის დროზე სამსახურებრივადაც ევალებოდა, რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, მოგეხსენებათ, ისევე, როგორც არ არსებობს ყოფილი აგენტი, არ არსებობს ყოფილი ძალოვანიც, მით უმეტეს - შს მინისტრი. მათ ყოველთვის აქვთ შენარჩუნებული საინფორმაციო არხები, ყოველთვის იგებენ ძალიან საინტერესო ექსკლუზიურ ინფორმაციებს და უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს კახა თარგამაძე ყველაზე ინფორმირებული ექსმინისტრი და პოლიტიკური ფიგურაა.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს შეხვედრა შესაძლოა, ხელისუფლების მიერ ოპოზიციონერი ლიდერებისთვის დაგებული ხაფანგი იყოს?**

— მე ძალიან ბევრ რამეზე ვფიქრობ, თუმცა რიტორიკულ შეკითხვას ვსვამ: რატომ გადაწყვიტა თარგამაძემ, ერთ მშვენიერ დღეს ძალიან პოპულარული ფიგურა გამხდარიყო, რომელიც ერთბაშად ხელმისაწვდომი გახდა ყველა ჟურნალისტისთვის და დაიწყო თავისი გულისტკივილისა და პოლიტიკური აღსარებების გამომზეურება?

**— ფიქრობთ, რომ მას შეიძლება, რაიმე ინტერესები ჰქონდეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში?**

— ამას დრო გვიჩვენებს, ისევე, როგორც იმას, იყო თუ არა ეს შეხვედრა ხელისუფლების ხაფანგი. კახა თარგამაძე რუსეთის მოქალაქეა, ამდენად სრული უფლება ჰქონდა, არც ერთი შეკითხვისთვის არ ეპასუხა და ხელისუფლება საკუთარ პროპაგანდასთან მარტო დაეტოვებინა, მაგრამ მან სხვა გადაწყვეტილება მიიღო. რატომ მიიღო და რა შედეგები მოჰყვება ამას ხვალ და ზეგ, — ამაზე საუბარი ნაადრევია.

**— არასაპარლამენტო ოპოზიციის გარკვეული ნაწილისთვის საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში კახა თარგამაძის ჩართვა მიუღებელია. თქვენთვის რამდენად მისაღებია ეს?**

— საქმე ის არის, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია, რომელსაც ჩვენ ყველანი ოპოზიციას ვეძახით, სააკაშვილის ყოფილი თანაგუნდელების ჯგუფია. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარეები, ყოფილი პრემიერები, ყოფილი შს და თავდაცვის მინისტრები, ყოფილი ელჩები — დღეს ისინი ცდილობენ, მოიპოვონ ქართველი ხალხის ნდობა და ოპოზიციის სახელი მოირგონ.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## რას ჩამოიტანენ ჟენევიდან ბარამია და სანაკოევი?

ქართული დელეგაცია გუშინ ჟენევაში გაემგზავრა, სადაც კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო კონსულტაციების მორიგ რაუნდში მიიღებს მონაწილეობას.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან საგარეო უწყების წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალი თავმჯდომარე გია ბარამია და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი.

გია ბარამიას განცხადებით, ჟენევის შეხვედრაზე ქართული მხარე აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებების დარღვევების საკითხს დააყენებს. შეხვედრაზე, აგრეთვე, დადგება კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო სამშვიდობო და საპოლიციო ძალების შეყვანის საკითხი.

## ერთ-ერთი უსაშინლესი ფიგურა ქართულ პოლიტიკაში

„ლეიბორისტები" თბილისის მერის გიგი უგულავას დასჯას მოითხოვენ. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კახა ძაგანიამ განაცხადა.

მისი თქმით, გიგი უგულავა არის ერთ-ერთი უსაშინლესი ფიგურა ქართულ პოლიტიკაში, რომელიც ხალხის ტერორსა და ყველანაირ შეზღუდვას ახორციელებს.

— უგულავა თბილისის მასშტაბით სამშენებლო კომპანიების 90%-ს აკონტროლებს და ისინი საკუთარი ოჯახის წევრებზე აქვს გაფორმებული, — აღნიშნა მან.

ძაგანია მოუწოდებს უგულავას, „კრიმინალური ქმედებების ნაცვლად, დაეხმაროს მოსახლეობას, მათ შორის კრედიტორებს, რომლებსაც ბინებს უყიდიან და ქუჩაში ტოვებენ.

მანვე მიმართა ხელისუფლებას, გიგი უგუგლავას მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და კანონის ფარგლებში დასაჯოს.

## ოპონენტებთან ამგვარი მეთოდებით ბრძოლა მიუღებელია

ექსპერტი გია ხუხაშვილი „საქართველოს გზის" ლიდერის, სლომე ზურაბიშვილის ოფისში აღმოჩენილი მოსასმენი აპარატურის შესახებ კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ პოლიტიკურ ოპონენტებთან ასეთი მეთოდებით ბრძოლა მიუღებელია.

ხუხაშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ მოსმენების პრაქტიკა ფაქტობრივად დააკანონა და აღნიშნული ფაქტი მისთვის მოულოდნელი და გასაკვირი არ ყოფილა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

ვარაუდი

# ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ერთი ძალა მართავს?

*ირინა სარიშვილის განცხადებით, სააკაშვილი თუ ამ ზაფხულს გადააგორებს, ზაფხულის ბოლოსთვის მძიმე კრიზისთან ერთად ტერაქტებია მოსალოდნელი. თუ ვის მიმართ იქნება მიმართული ეს ტერაქტები, ძნელი სათქმელია. სარიშვილის მტკიცებით, ხელისუფლებისაც და ოპოზიციის უკანაც ერთი ძალა დგას, რომელიც ცდილობს, საქართველოს ხელისუფლებაში სხვა ორიენტაციის პოლიტიკური ძალა არ მოვიდეს.*

*საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" ირინა სარიშვილს ესაუბრა.*




**—კახა თარგამაძის განაცხადებით, შემოდგომამდე ლევან გაჩეჩილაძეზე თავდასხმაა მოსალოდნელი. ასევე გაკეთდა განცხადებები, რომ ეს თავდასხმა შესაძლოა რუსეთმა განახორციელოს, რათა საქართველოს ხელისუფლებას დაბრალდეს და ქვეყანაში დესტაბილიზაცია შეიქმნას. ამასთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრება როგორია?**

— იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილმა ეს ზაფხული გადააგორა, ზაფხულის ბოლოსთვის ძალიან მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკურ კრიზისი და ტერაქტებია მოსალოდნელი. რაც შეეხება რუსეთის ინტერესს, ამ რუსულ-ამერიკულ გეგმას, მთელი ამ ხნის განმავლობაში ემსახურება თვითონ მიხეილ სააკაშვილი. ამიტომ ნებისმიერი მისი ნაბიჯი, გნებავთ ამერიკული გეგმების ნაწილად ჩათვალეთ და გნებავთ რუსული.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ხელისუფლება განახორციელებს ტერაქტებს, მაგრამ კონკრეტულად ვის შეეხება, ძნელი სათქმელია.

ძალიან ნიშანდობლივია კახა თარგამაძის ფიგურის პოლიტიკური ნიშნით წამოწევა. კახა თარგამაძე ნამდვილად არ არის პოლიტიკასთან დაკავშირებული. ჩემსა და მას შორის ურთიერთობა დიდი ხნის წინათ მოგვარდა. თუმცა, როცა სახელისუფლებო არხებზე ჩემს სახელსა და გვარს ტაბუ ადევს, აჩვენებენ კადრებს, სადაც მე კახა თარგამაძეს ვაკრიტიკებ. ახლა ეს რომ ჩემი ხათრით არ კეთდება და კახა თარგამაძის დისკრედიტაციისთვის არის მიმართული, ძნელი მისახვედრი არ არის.

**— ფაქტია, რომ ოპოზიციის ლიდერებზე თავდასხმას საპროტესტო მუხტის გამწვავება მოჰყვება, რაც ხელისუფლებას ნამდვილად ხელს არ აძლევს. არ ფიქრობთ, რომ ეს შესაძლოა, მართლაც რუსეთს აწყობდეს?**

— ამ ხელისუფლების და ამ ოპოზიციის უკან დგას ერთი და იგივე ძალა. ეს არის სწორედ ამ რუსულ-ამერიკული გეგმის პროექტის ჯგუფი. ეს ძალა რის გაკეთებას ჩათვლის საჭიროდ, ამას, არც სააკაშვილს ჰკითხავს და არც გაჩეჩილაძეს.

დღეს ოპოზიციას რომ უძახის ხელისუფლება, ეგ ხალხი თავის დროზე ერთი გუნდი იყო, ვგულისხმობ, ბურჯანაძეს, ალასანიას და თითქმის ყველა ოპოზიციონერს, ფორუმის გარდა. უბრალოდ, მათ შორის ინტერესები გაიყო. გლობალისტთა გუნდისათვის ამ შემთხვევაში მთავარი არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში სხვა ორიენტაციის და მიმართულების პოლიტიკური ძალა არ მოვიდეს. ამიტომ ტერაქტებიც და 2008 წლის აგვისტოს მსგავსი სპექტაკლების გამეორება ისევ მოსალოდნელია. ამას გეგმავს არა კონკრეტულად სააკაშვილი, გაჩეჩილაძე ან ბურჯანაძე, არამედ მათ უკან მდგომი ერთი ძალა. ამ ორი მხარიდან ვის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემდგომ ესა თუ ის მოვლენა, ეს უკვე სხვა საქმეა.

თვალსაზრისი

(მესამე გვერდიდან)

დღეს საქართველოში ერთადერთი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა ლეიბორისტული პარტიაა, რომელსაც აქვს ამბიცია, ფართო კოალიციის საფუძველზე ამ რეჟიმის ალტერნატივა წარმოადგინოს. რაც შეეხება თარგამაძეს, არასაპარლამენტო ოპოზიციის ასარჩევია, ვის ჩართავს ამ პროცესებში და ვის – არა. მე კი ზუსტად ვიცი, რომ ხელისუფლება თავისუფალი არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყანა ველარ იქნება სახელმწიფო, რადგან ძალადობა წარმოშობს ძალადობას.

**– თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ სააკაშვილის გუნდს ხელისუფლება ხავერდოვნად გადასცა. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ხელისუფლებაც ხომ არ „ამზადებს" საკუთარ „ხალხს" არასაპარლამენტო ოპოზიციურ სპექტრში? ვგულისხმობ თქვენს მიერ ნახსენებ ყოფილ მაღალჩინოსნებს, კერძოდ, მაგალითად, ნინო ბურჯანაძისა და მიხეილ სააკაშვილის ერთ გუნდში თამაშს...**

– ყურადღება მიაქციეთ იმ საინტერესო ფაქტებს, რომლებმაც საქართველოში ტრადიციულობის უფლება მოიპოვა – პირველი პრეზიდენტი და ადმინისტრაცია ხელისუფლებიდან გააძევა არა ოპოზიციამ, არამედ მმართველი გუნდის ნაწილმა, რომელიც მეორე ნაწილს დაუპირისპირდა. ასე მოხდა მეორე პრეზიდენტის შემთხვევაშიც. მესამეს, სააკაშვილს, რომელიც უაღრესად ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანია, ეს გამოცდილება შესწავლილი აქვს, ამიტომ მეორე უკიდურესობაში გადავიდა და საკუთარი გუნდის ინტერესებსა და ერთიანობას კბილებით იცავს. სააკაშვილს ურჩევნია საქართველოს და მის ტერიტორიულ მთლიანობას საკუთარი გუნდი ანაცვალოს, ოლონდაც ხელისუფლება არ შეიცვალოს, მაგრამ აქაც გაჩნდა ბზარი, როდესაც მას ყოფილი თანაგუნდელები ყველაზე რადიკალური სიმკვეთრით დაუპირისპირდნენ, რათა შეცვალონ და დაამთავრონ ეს ხელისუფლება იმავე მიმართულებით. 2003 წელს არავითარ რევოლუციაზე საუბარი არ ყოფილა: იმ დროისთვის აშშ-ში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა პერმანენტული რევოლუციების დეპარტამენტი, რომელმაც ე.წ. „ფერადი რევოლუციების" საგანგებო თეორია შექმნა და ამ მეთოდის განსახორციელებლად ნოყიერი ნიადაგი საქართველოშიც მოამზადა. კერძოდ, მაშინ ამისთვის „მოქალაქეთა კავშირის" რეფორმატორთა ჯგუფს და რიგ არასამთავრობო სექტორს ამზადებდნენ, რომელიც შემდგომ ცნობილმა ავანტიურისტმა ჯორჯ სოროსმა მსუყედ დააფინანსა. **„ვარდების გადატრიალების" შემდეგ ანკარაში, „ღია საზოგადოება – სოროსის" ყრილობაზე მან განაცხადა, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისთვის ასეულობით მილიონი დოლარი გაიღო და პერსონალურად მიხეილ სააკაშვილს, კახა ლომაიას, „თავისუფლების ინსტიტუტს" და სხვა „ენჯეოებს" აფინანსებდა.** როგორც კი ეს ოფიციალური ინფორმაცია გახმიანდა, მაშინვე მივმართე მაშინდელ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს საქმის გამოძიების მოთხოვნით, თუმცა, რა გასაკვირია, უშედეგოდ. ასეთი წინასწარი გეგმით და დასავლეთის მხარდაჭერით განხორციელდა გაუგონარი ექსპერიმენტი საქართველოში, რომლის შედეგი სამად გახლეჩილი საქართველოა და როგორც უცხოელი ექსპერტები ამბობენ, მისი ანკლავებად დაშლა მომავალშიც გაგრძელდება. ედუარდ შევარდნაძე, რა თქმა უნდა, საქმის კურსში იყო, რომ მსგავსი ტიპის საერთაშორისო პროექტი მზადდებოდა და მისი დანაშაული სწორედ ისაა, რომ ამ პროცესს არ აღუდგა წინ, არადა, ამის რესურსი ჰქონდა...

# რეალურ რეიტინგს თავისუფალი არჩევნები განსაზღვრავს და არა მიტინგებზე ხმამაღალი განცხადებებით მოწყვეტილი წამიერი აპლოდისმენტები




**– რატომ არ შეხვედით „9 აპრილის საორგანიზაციო შტაბში?" ხომ არ იყო ამის ერთ-ერთი მიზეზი ის, რომ მასში შემავალი პარტიების წარმომადგენლები სწორედ ხელისუფლების ყოფილი თანაგუნდელები არიან?**

– ცხადია, ასე იყო!

**– რას იტყვით მათზე, კერძოდ ნინო ბურჯანაძის ფიგურაზე, რომელმაც ბოლოდროინდელი მუქარანარევი განცხადებების გამო თითქოს რეიტინგიც კი აიწია და ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი გახდა?**

– დღეს მხოლოდ ხელოვნურად აწეულ, ემოციურ რეიტინგებზე შეიძლება იყოს საუბარი. ნამდვილი პოლიტიკური რეიტინგი წლების განმავლობაში ყალიბდება, ან მას არჩევნები განსაზღვრავს. იქიდან გამომდინარე, რომ არც **ნინო ბურჯანაძეს და არც ირაკლი ალასანიას ჯერ არც ერთ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, როგორია მათ მიმართ ქართველი ხალხის ნდობის მანდატი რეალურად, არავინ იცის.** ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ტრაგიზმი ის არის, რომ მას საკუთრივ შეეხო ან შეეხება იმ რეჟიმის სუსხი და სიმძიმე, რომელიც მან თავადვე გამოჭედა მიხეილ სააკაშვილთან და „ვითომ გუნდთან" ერთად უცხოელი სპეცსამსახურების დახმარებით. **უცნაურია, რომ ის დამნაშავედ არასდროს თვლიდა თავს და ერთგვარი თავის მართლების რეჟიმში ჩადგა, თუმცა რაც დრო გადის, მით მეტად ხვდება ბურჯანაძე, რომ მის მიერვე გამოჭედილი სასტიკი და დაუნდობელი რეჟიმი არა მარტო პირადად მას, არამედ მის ოჯახსაც აუცილებლად შეეხება.** „ვარდების გადატრიალებაში" მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ გადატრიალება მხოლოდ სააკაშვილის ინიციატივა იყო?! 2003 წლის ნოემბრის არჩევნებში „ბურჯანაძე-დემოკრატებმა" საარჩევნო ბარიერიც კი ვერ გადალახეს და ბურჯანაძე სწორედ ამას ვერ შეეგუა. ქალბატონი ნინო ჭკვიანი ადამიანია, უკვე აქვს პოლიტიკური პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში პარლამენტის პოსტი „სინით ჰქონდა მირთმეული". მან ქვეყნის შიგნით გარკვეული პოლიტიკური პრაქტიკა გასწია, თუმცა ეს ძალიან ცუდი პრაქტიკაა მისთვის, ამიტომ ძალიან ბევრი „ფუთი მარილის ჭამა" და დიდხანს ქუჩაში დგომა მოუწევს (თუკი საერთოდ ხელი არ აიღო პოლიტიკაზე), რათა კვლავ აქტიურ პოლიტიკურ პოზიციებზე იდგეს. მახსენდება ბურჯანაძის ერთი გამოსვლაც, როდესაც ის ამბობდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეობა გარანტირებული ჰქონდა. ამას ამბობდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რომელმაც 2008 წლის 5 იანვრის ყველაზე გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნები დააკანონა, რომელმაც საკუთარ ხალხს 2007 წლის 7 ნოემბერი გამოატარა და ა.შ. ამ ფრაზებში გამოჩნდა, რომ ისინი გარანტირებული დანიშვნების წესით გეგმავდნენ მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, მინდა, წარმატებები ვუსურვო. **დაიწყოს თავიდან და მოიპოვოს ნდობა არჩევნების გზით, რადგან ნდობა გამოიხატება სწორედ არჩევნების შედეგებით და არა მკაცრი განცხადებებით მოწყვეტილი წამიერი აპლოდისმენტებით.**

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას, მას ასევე დიდი გზის გავლა მოუწევს. ის ან ერთ მშვენიერ დღეს იტყვის, რომ აღარ უნდა პოლიტიკა, ან ხელოვნური უცხოური რეიტინგებით ან მის გარეშე, მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს. მინდა ერთ თქვენს პუბლიკაციას გამოვეხმაურო, რომელშიც ერთ-ერთი პოლიტოლოგი ამბობს, რომ დასავლეთი მხარს არ დაუჭერს პრორუსული ორიენტაციის მქონე ლიდერს. მასაც მინდა ვუთხრა, რომ დღეს „პროისტულ" თეორიებზე და ვექტორების გადასინჯვაზე საუბარი დიდი სიყალბეა. ეს მხოლოდ დიქტატორ მეთაურს შეუძლია, მტრის ხატის გამოჭედვის მიზნით გააკეთოს. ახლა მთავარია, საქართველოში ისეთი ხელისუფლება მოვიდეს, რომელიც ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე დამყარებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს აირჩევს. დავიწყებას მიეცით პროამერიკულობა, რადგან ის ისეთივე დამღუპველია, როგორც პრორუსულობა, პროთურქულობა და ა.შ. ამდენად, ნუ მიეხმარებით მიხეილ სააკაშვილს და „ნაცმოძრაობის" ტვინგაცხელებულ ლიდერებს, „პროისტული" თეორიებით გამოჭედონ ქვეყნის მტრები და ქვეყნის მოყვარეები.

**– ქალბატონო ნესტან, თუკი ოპოზიციონერ ლიდერებს მართლაც აქვთ ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი მასალები, რატომ არ იყენებენ მათ? ქართველ ხალხს ხომ აქვს უფლება, იცოდეს, ვინ არის მისი ხელისუფალი სინამდვილეში?! ხომ არ ფიქრობთ, რომ იგივე ნინო ბურჯანაძე და სხვებიც კომპრომატებს იმის გამო არ იყენებენ, რომ თავის დროზე ძალიან ბევრ მათგანში მათი ხელიც ერია?**

– მე მახსენდება ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი, როდესაც დაიწყო ხელისუფლების მხილება კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით. ეს იყო პირველი ასეთი შემთხვევა და ამან ქართულ საზოგადოებაში მაღალი ემოცია გამოიწვია. თუმცა დღეს ყოფილი თანაგუნდელების მიერ ოქრუაშვილის მეთოდოლოგიით სვლა ველარ გაჭრის, რადგან დღეს ამ დანაშაულებებზე ყველა საუბრობს და არა მხოლოდ საუბრობს, არამედ ეს დანაშაულებრივი პოლიტიკა ყველა ქართულ ოჯახს შეეხო. შესაბამისად, კომპრომატები განსაკუთრებულობა აღარაა და ამ მხრივაც ნინო ბურჯანაძემ დააგვიანა. ზოგადად კი, რა თქმა უნდა, ნებისმიერი, ვინც კომპრომატს ფლობს, ხალხისა და კანონის წინაშე მოვალეა, წარმოადგინოს ეს მასალები, რათა ხალხმა იცოდეს, ვის აძლევდა ხელფასებს ამდენი ხნის მანძილზე, ვის ინახავდა და ვის აოხრებინებდა ქვეყანას. ამ მოვალეობის შესრულების შემდეგ თავისუფალმა არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს, ვის მიანიჭებს ხალხი ნდობას – იმ ადამიანების ნაწილს, ვინც ამდენი უბედურება მოუტანა ქვეყანას და მადლობა ღმერთს, დღეს მორალური პასუხისმგებლობის დონეზე მაინც უნდა შეცდომების გამოსწორება, თუ იმას, ვინც ჯერ ხელისუფლებაში საერთოდ არ მოსულა და მისი მუდმივი გუშაგი და მოდარაჯეა მთელი ამ წლების მანძილზე.

**ლევან სულაშვილი.**

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი"**

ფიქრები ხმამაღლა

## მიშა, კიდევ რას აჩუქებ პუტინს?

**მიშა, ყველა გაგვაოცე – შენზე იტყვიან, актер погорелого театра-ო. ორმაგი თამაში მოინდომე? არ გამოგდის, ამის ნიჭი სადა გაქვს? ვის ატყუებ?**

ერთი მხრივ, აგინებ რუსეთს, და მეორე მხრივ, ასაჩუქრებ აგრესორს.

საჩუქრები და მერე რა საჩუქრებია. ჯერ იყო და, ქვეყნის ენერგოსისტემა რუსეთს დაუქვემდებარე, კოდორის ხეობა – ზემო აფხაზეთად, ახალგორი ცხინვალის რაიონად აღიარე, ახლა რკინიგზას მიადექი. რიგში თბილისია, აბა, რად გინდა თბილისი, ჯობია მოიცილო, შენ ხომ ვერ გაგიგია თბილისის ფენომენი, თან ადგილი მოსაცილებელია: რუსის ჯარი 40 კილომეტრში დგას. პუტინი ვერც კი იოცნებებდა შენ რომ ხარ, ისეთ მეგობარზე.

რუსი მაღალჩინოსნები, პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები დაუფარავად აცხადებენ, ჩვენ ხელს გვაძლევს სააკაშვილიო. შენ კი გაუთავებლად გვაზოლებ: რუსეთის აგენტებიო, მუხროვანის „შეთქმულებაში" რუსეთის კვალიაო, ოპოზიცია რუსული ფულით მოქმედებსო.

გეყო რა, მიშა! შენი არავის სჯერა. დროა, თავს უშველო, წადი!

## თქვენ გელოდებით, „უმაღლესი კლასის" თურქო მშენებლებო!..

**აგვიშენეს, მაგრამ რა აგვიშენეს: მსოფლიოში ჯერ არნახული აეროპორტი, რომლის სახურავი უკვე ხუთჯერ ჩამოინგრა, თურმე არ ყოფილა გაანგარიშებული წვიმაზე და ქარზე.**

აეროპორტის შიდა კედლები აალებადი მასალით მოაპირკეთეს, ესკალატორი კი ვერ უძლებს მცირეოდენ დატვირთვას, ხშირად იჭედება. თურმე ერთი საფრენი ბილიკი ბევრად სჯობს გერმანელების მიერ შემოთავაზებულ რამდენიმე ბილიკს. მშენებლობაზე უარი ვუთხარით გერმანელებს, თუმცა ბევრად იაფი ჯდებოდა (საინტერესოა, – თურქები გერმანელებს იწვევენ მშენებლობაზე). თურქების მიერ აშენებული რეზიდენციის სახურავიდან გამუდმებით ჩამოდის წვიმა და მცველები ტაშტებით დგანან (გუმბათის კვერცხის ერთი მინა 56 ათასი დოლარი ღირს, ასეთი მინა კი 12-იაძ.

ახლა თურმე პრეზიდენტს სურს, კაშხალიც თურქებს ააშენებინოს. თურქ მშენებლებს წინ დიდი სამუშაო ელოდებათ: ბათუმსა და ფოთში ცათამბჯენების აშენება. აბა, როგორ ვეტყვით უარს თურქებს. თუმც მისგან გასაკვირი არაა: ქართველი მეფეები და მთავარსარდლები ოსები ყოფილან, ფერეიდნელი ქართველები სამი საუკუნის წინათ „სულიკოს" მღეროდნენ, მოსეს თურმე 20 წელი უტარებია ებრაელები უდაბნოში, „ამნისტიაც" ასეთი მესმის.

ჩვენთან მშენებლობები გაჩერებულია, თქვენ, თქვენ გელოდებათ „უმაღლესი" კლასის თურქო მშენებლებო!

**ლონდა მდივანი**

ინფორმაცია

## რათა საბიუჯეტო ხარჯები მკაცრად გაკონტროლდეს

**კონტროლის პალატის საქმიანობის შემსწავლელი კომისია, ამ უწყების მიერ ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევის ყოველთვიური და ყოველკვარტალური კონტროლის ინიციატივით გამოდის.**

**ამის შესახებ კონტროლის პალატის 2008 წლის საქმიანობის შემმოწმებელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნაშია ნათქვამი.**

**კომისიას მიაჩნია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივად გამოყენების, აგრეთვე, მათი ხარჯვის კუთხით გამოვლენილ ნებისმიერ კანონდარღვევაზე დროულად რეაგირების მიზნით, კონტროლის პალატას უნდა მიეცეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების ყოველთვიურად და ყოველკვარტლურად შემოწმების, ფულის მართვისა და გაცემის გეგმების შესრულების კონტროლის უფლება.**

ინტერპრესნიუსი

მოვლენის წინ

***ომი საქართველოსა და რუსეთს შორის არ იქნება, ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში. ეს იქნება „ომ“-ის – ობამა-მედვედევის მოლაპარაკებების ყველაზე პოზიტიური შედეგი. სხვა საკითხებთან დაკავშირებით კი უკვე ნაცნობ ფრაზებს მოვისმენთ – საქართველოს საკითხზე მხარეებს გააჩნიათ სხვადასხვა მიდგომები. თუმცა დიალოგი ამ მიმართულებით გაგრძელდება.***



# „ომ“-ის, ანუ ობამა-მედვედევის შეხვედრის პრიზმა ქართული რეალობისთვის

სისულელეა ის, თითქოს საქართველოში ვინმეს და მით უფრო, პოლიტიკოსებს აქვთ იმის იმედი, რომ ობამა-მედვედევს ან დაემუქრება, ან დაუჩოქებს საქართველოს პრობლემის მოსაგვარებლად. ამ ორი ზესახელმწიფოს შორის პოლიტიკური პაექრობისა და თანამშრომლობის საკითხები როგორც კონკრეტული, ასევე გლობალური თემების მომცველია. მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის აღქმა ორივეს განსხვავებულად წარმოუდგენია, თუმცა ვაშინგტონიც და მოსკოვიც იმდენ პრაგმატიზმს იჩენენ, რომ გლობალურ ფრონტზე ერთმანეთთან დაპირისპირება გამორიცხონ. რეალობაა ისიც, რომ ავღანეთის, პაკისტანის, ჩრდილოეთ კორეასა თუ ირანის საკითხზე ვაშინგტონს უფრო მეტად ესაჭიროება მოსკოვის მხარდაჭერა, ვიდრე პირიქით. შესაბამისად გლობალურ პრიზმაში საქართველოს პრობლემა პირველ ადგილზე ვერ და არ იქნება.

მართალია, ჩვენ მუდამ გვგონია, რომ არა მარტო მსოფლიო დიპლომატიის, არამედ გალაქტიკის ჭიპიც სწორედ აქაა და, შესაბამისად, ყველაფერი ჩვენს გარშემო ტრიალებს, მაგრამ ფაქტია, რომ ხერხი და მეთოდი, რომლითაც საერთაშორისო თანამეგობრობა შეძლებს აიძულოს რუსეთი, დაჰყვეს მის ნებას – უარი ათქმევინოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებაზე და დაატოვებინოს ოკუპირებული ტერიტორიები, ამ ეტაპზე რეალურად არ არსებობს.

მით უფრო, რომ ობამას მედვედევთან იმ ფონზე უწევს მოლაპარაკებების გამართვა, როდესაც მოსკოვმა არც ერთი მიმართულებით „მილიმეტრიანი“ დათმობაც არ განახორციელა.

საქართველოდან ეუთოს მისიის აზარგვაზს მალე გაეროს მისიის იგივე ქმედება მოჰყვება. უფრო მეტიც, რუსეთი არც მასზე ენერგეტიკულად დამოკიდებული ევროკავშირისთვის აპირებს კონფლიქტის რეგიონებში დამატებითი უფლებების მინიჭებას.

**„სარკოზი-მედვედევის შეთანხმებაში წერია, რომ ევროკავშირის დამკვირვებლები საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების მიმდებარე ტერიტორიაზე იმუშავებენ. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის მონიტორინგის წარმომადგენლების კონფლიქტურ ზონებში შეშვების აკრძალვასთან დაკავშირებით კრემლის პოზიცია არ შეიცვლება“,** – ასე უპასუხა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ფრანგი კოლეგის ბერნარ კუშნერის თხოვნას, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის მისიის დაშვების შესახებ.

**„პირადად მქონდა თხოვნა რუსეთის დელეგაციისა და საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიმართ, რომ რუსეთი წასულიყო ერთ მილიმეტრიან დათმობაზე და განეცხადებინა თანხმობა ოკუპირებულ რეგიონებში ევროკავშირის დამკვირვებლების შეშვებასთან დაკავშირებით, თუმცა რუსეთი ამ თემაზე დათმობაზე წასვლას კატეგორიულად გამორიცხავს“,** – განაცხადა კუშნერმა. აქვე არც იმის დავიწყება და იგნორირება შეიძლება, რომ რუსეთი ცდილობს თავად უკარნახოს ევროკავშირს თამაშის წესები.

**„რუსეთმა ნაბიჯ-ნაბიჯ დაბლოკა საქართველოში საერთაშორისო მისიების ყოფნის საკითხები, რის სანაცვლოდაც სცადა ევროპელი კოლეგებისთვის საკუთარი წინადადების შეთავაზება, თუმცა სამიტზე შეხვედრის მონაწილეები მას არ დაეთანხმნენ, რაც მისასალმებელია“,** – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ ეუთოს არაოფიციალურ მინისტერიალის შედეგების კომენტირებისას.

მართალია, საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ლავროვის მხრიდან უარზე იმასაც აცხადებს, რომ **„ჩვენ, რასაკვირველია, უნდა ვილაპარაკოთ რუსეთთან უსაფრთხოების საკითხებზე, თუმცა შეუძლებელია არ შევახსენოთ მას, რომ ჩვენც გვაქვს გარკვეული პრინციპები“.**

კუშნერი არ აკონკრეტებს, რა პრინციპებზეა საუბარი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, მოსკოვი დღემდე არ ასრულებს „სარკოზი-მედვედევის“ ხელშეკრულებით ნაკისრ ყველა ვალდებულებას და უფრო მეტიც, მიიჩნევს, რომ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მას საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე არავითარი ანგარიშვალდებულება არ გააჩნია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვერც ობამა შესძლებს ამ მიმართებით თავისი რუსი კოლეგის გადარწმუნებას.

**„ევროკავშირის მონიტორინგის წარმომადგენლების კონფლიქტურ ზონებში შეშვების აკრძალვასთან დაკავშირებით კრემლის პოზიცია არ შეიცვლება. აფხაზეთში გაეროს მისიის მუშაობა დაუშვებელია უშიშროების საბჭოს ძველი რეზოლუციის მიხედვით, რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, ეუთოს მისიის იქ მუშაობის შესახებ ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს“,** – განმარტავს სერგეი ლავროვი.

ვარაუდებს თუ თავს დავანებებთ, აშკარაა ის გარემოება, რომ მიმდინარე ეტაპზე დასავლეთს აშშ-სა და რუსეთს შორის საქართველოს გამო პოლიტიკური ქარიშხალი მოსალოდნელი არ არის. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც თუნდაც პაკისტანში ალ-ქაიდა და თალიბანი ხელში ბირთვილი იარაღის ჩაგდებას ცდილობს და აშშ-ს ღიად ემუქრება.

ამ ვითარებაში ვაშინგტონს მოსკოვის სახით პარტნიორი უფრო ესაჭიროება, ვიდრე მოწინააღმდეგე. ამიტომ, თუნდაც იმ საკითხს, რომელიც მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, მაგრამ მის სასიცოცხლო ინტერესებს არ ემუქრება, აშშ-ის პრეზიდენტი მთავარ პრობლემად არ გახდის.

მით უფრო, რომ რაც ბოლო პერიოდში რუსეთ-საქართველოს შესაძლო კონფლიქტთან და საქართველოში იმავე ეუთოს მისიის შეწყვეტის გამო რაც ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან გახმიანდა, ერთი მხრივ, წუხილს და, მეორე მხრივ იმედს უკავშირდებოდა.

**„ვწუხვარ, რომ მისია დასრულდა და ჩვენ ვერ შევძელით ამ პროცესის შეჩერება“,** – განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯეიმს სტეინბერგმა საქართველოში ეუთოს მისიის შეჩერების გამო. სტეინბერგმა იქვე იმედი გამოთქვა, რომ **„არ შეიძლება დავუშვათ კონფლიქტის განუსაზღვრელად გაგრძელება. იმედია, ამას რუსი კოლეგებიც მიხვდებიან“.**

სწორედ ამ იმედის მატერიალიზაცია, ე.ი. მედვედევისგან გარანტიის მიღება საქართველოს წინააღმდეგ დამატებითი სამხედრო აგრესიის განუხორციელებლობის შესახებ ობამას მხრიდან დიდი მიღწევა იქნება. რის სანაცვლოდ შეძლებს ამ გარანტიის მიღებას ობამა, ეს კიდევ ცალკე საკითხია. თუმცა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტი კულუარული შეთანხმების საგნად არ აქცევს არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას და რუსეთს მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ჩაურევლობის გარანტიას ვაშინგტონის თუ არა ქართული სახელმწიფოს სახელით მაინც არ მისცემს.



მოკლედ ობამა-მედვედევის – „ომ“-ის მთავარი მონაპოვარი ომის განუახლებლობა და ქართული სახელმწიფოებრიობის თუნდაც არსებული სახით შენარჩუნება იქნება. თუმცა მთავარი საკითხი – თავად ქართველები შევძლებთ თუ არა ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას და შიდა პოლიტიკური ომის ქვეყნისთვის სასარგებლოდ დასრულებას, ჯერ კიდევ ღიად რჩება.

**გოჩა მირცხულავა,**
**„XO-ეიჩ-ენი“**

ვინ ვინ არის

# ნატოს ახალი გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი

**ნატოს ახალი გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი მოვალეობის შესრულებას 1 აგვისტოდან შეუდგება.**

რასმუსენს 2001 წლის ნოემბრიდან 2009 წლის აპრილამდე დანიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა, 1998 წლიდან დღემდე იგი დანიის ლიბერალური პარტიის ლიდერია. დანიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ყველაზე ერთგულ ევროპელ პოლიტიკოსად ითვლებოდა.

რასმუსენი 1953 წლის 26 იანვარს დანიაში დაიბადა. მისი მშობლები ფერმერები იყვნენ. 1959 წელს მშობლებთან ერთად საცხოვრებლად ვიბორგის მახლობლად პატარა დასახლება ხვიდინგში გადავიდა. 1969 წელს მან ვიბორგის კათედრალური სკოლა დაამთავრა და უცხო ენებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებაში ბაკალავრის ხარისხი მიიღო, შემდეგ კი სწავლა ორხუსკის უნივერსიტეტში განაგრძო, რომელიც 1978 წელს ეკონომიკის საკითხებში მაგისტრის ხარისხით დაამთავრა.

პოლიტიკური მოღვაწეობა ვიბორგის კათედრალურ სკოლაში დაიწყო, სადაც დააარსა და სათავეში ჩაუდგა სტუდენტურ ორგანიზაციას „ლიბერალური ახალგაზრდები“. 1973 წელს დანიის ლიბერალური პარტიის ცენტრალური პრეზიდიუმის შემადგენლობაში ჩაერთო და იმავე წელს ქვეყნის პარლამენტში პირველად იყარა კენჭი, თუმცა მას პარლამენტში ასარჩევად მინიმალურად დასაშვები ასაკი ჰქონდა. პირველად დეპუტატად 1978 წელს აირჩიეს. დანიის ოპოზიციის მიუხედავად, იგი 2003 წელს ერაყში ომის დაწყების ერთ-ერთი აქტიური



მომხრე იყო. იმას შემდეგ კი, რაც კოალიციის ჯარებმა ქვეყანაში შეჭრის ოპერაცია დაასრულეს, დანიამ ერაყში 550 სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა, რომლებმაც ერაყი 2007 წელს დატოვეს. 2005 წლის სექტემბერში დანიურმა გაზეთმა მუჰამედ წინასწარმეტყველის კარიკატურები გამოაქვეყნა, რასაც მთელ მსოფლიოში მუსულმანების საპროტესტო აქციები მოჰყვა. თავად პრემიერ-მინისტრმა უარი განაცხადა მუსულმანებისთვის ბოდიშის მოხდაზე და განაცხადა, რომ გმობს კარიკატურებს, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ არსებული კანონით გაზეთისა და მისი რედაქტორების გასამართლების შესაძლებლობა არ არსებობს. მისმა რეაქციამ მუსულმანებში პროტესტი გამოიწვია, კერძოდ, ეგვიპტის ელჩმა მას „არაადეკვატური“ უწოდა.

2009 წლის 4 აპრილს ნატოს სამიტზე მისი კანდიდატურა ალიანსის გენერალური მდივნის თანამდებობაზე დასახელდა. კარიკატურების სკანდალის შემდეგ მის დანიშვნას თურქეთი ჯერ ეწინააღმდეგებოდა, თუმცა აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და სხვა ლიდერების თურქეთის პრეზიდენტთან აბდულა გიულისთან მოლაპარაკებების შემდეგ, რასმუსენი ნატოს ახალ გენერალურ მდივნად აირჩიეს, რის შემდეგაც მან დანიის პრემიერის თანამდებობა დატოვა. რასმუსენს ჰყავს მეუღლე ანნე-მეტე და სამი შვილი ჰენრიკი, მარია და კრისტინა. ნატოს ახალი გენმდივანი ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

მორიგი დაბოლება

# რა დაგვიჯდება გაყიდული მამულის გამოსყიდვა?

## როდემდე შეიძლება მოვიტყუოთ თავი?

***ალბათ მანამდე, ვიდრე ეს მთავრობა ტყუილს არ გადაეჩვევა (რაც ძნელად დასაჯერებელია) ან ისეთი მთავრობით არ შეიცვლება, რომელსაც ტყუილი არ ეცოდინება, სიმართლე გითხრათ, არც მეორე ვარიანტია ადვილად დასაჯერებელი!***

***რაღა დაგიმალოთ და ამათგან განსხვავებით ისეთ პირიან ხალხსაც კი, როგორიც კომუნისტები იყვნენ, ერთთავად პირზე ეკერათ გაზსაცავის მშენებლობა, მაგრამ მოულოდნელად ისე გავიდნენ წყალგაღმა, რომ ხელის დაქნევაც კი დაავიწყდათ. ამით გულდაწყვეტილი „საქნავთობის“ მაშინდელი თავკაცი რევაზ თევზაძე რამდენჯერაც შემხვდებოდა, იმდენჯერ მეუბნებოდა — კომუნისტებს გაზსაცავის აშენება რომ მოესწროთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაყეფდაო. მერე იმასაც დაამატებდა ხოლმე, ვიდრე ქვეყანა ეკონომიკურად ისე მოღონიერდება, რომ ამხელა თანხის გაღებას შეძლებს, ბარე ორი ათეული წელი მაინც დაგვჭირდებაო.***

ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ეს აგვიხდა. ახლანდელმა მთავრობამ და წინადროინდელმაც, რამდენჯერაც დააპირეს ფულის გამოყოფა ამ გადაუდებელი სტრატეგიული ობიექტის მშენებლობისთვის, ან საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდათ, ან კიდევ შემოეჭამათ. ასე იყო ამ ერთი წლის წინათაც, როცა ექსპრემიერმა ლადო გურგენიძემ „დიდი ეროვნული საქმე“ წამოიწყო — ლონდონის ბირჟაზე 500 მილიონი ევროს ობლიგაციები გაყიდა იმ მოტივით, რომ ამ თანხას მთავრობა გაზსაცავის მშენებლობას მოახმარდა. იცოცხლეთ, იმ ობლიგაციებიდან დათქმული ოდენობის ფული კი შემოვიდა, მაგრამ ვის ჯიბეში ჩაცურდა, დღემდე ვერავინ დაადგინა. არის ვარაუდები, რომ თანხა ვადამდელმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა თუ რუსეთთან „მოგებულმა“ ომმა შეიწირა, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. რეალობა ის გახლავთ, რომ გაზსაცავი დღესაც ასაშენებელია, ძველს დამატებული ახალი 500-მილიონიანი ვალი კი — ზურგზე წამოკიდებული.

არადა რამდენჯერ ვიწვნიეთ უგაზსაცავობით გამოწვეული სიმწარე? უამრავჯერ, როცა რუსეთმა შუაგულ ზამთარში სიცივით გვახავხავა, მაგრამ ისწავლა რაიმე ჩვენმა მთავრობამ ამ სამეზობლო გამოცდილებიდან? არა მგონია. აი, სომხეთმა კი, ჩვენგან განსხვავებით, კარგა ხანია, რაც გაზსაცავი აიშენა და ფორსმაჟორული სიტუაციებისგან თავი საკმაოდ დაიზღვია, რომ აღარაფერი ვთქვათ აზერბაიჯანზე, რომელსაც ერთის მაგივრად ორი გაზსაცავი აქვს.

და აი მოულოდნელად გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლება გაზსაცავის მშენებლობას აპირებს. რატომ მაინც და მაინც ახლა, როცა ქვეყნის თავზე გლობალური მსოფლიო კრიზისის „დამოკლეს მახვილი“ ჰკიდია და ამას შიდა პოლიტიკური არეულობაც დაემატა? ორდინარულ სიტუაციაში ძნელია ამ კითხვას პასუხი მოუძებნო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ხელისუფლების არაორდინარულ გონიერებას, თავში უამრავი „ორიგინალური“ აზრი შეიძლება მოგვეძალოს. აი, მაგალითად, თუნდაც ის, რომ ამ საყოველთაო კრიზისის ჟამს, როცა მშენებლობები დაკონსერვებული და გაყინულია, საშენი მასალები ჩალის ფასად იყიდება და შესაბამისად მშენებლობაც გაჩალისფასებულია. ჰოდა, თუ ჭკუა გიჭრის, ამაზე უკეთეს მომენტს როდისღა იპოვი? ვერასოდეს!

ეტყობა, ეს ყველაფერი გაითვალისწინა ხელისუფლებამ და ამიტომაც გადაწყვიტა, გაზსაცავის აშენება რაც შეიძლება მოკლე პერიოდში (კრიზისის წლებს არ უნდა გასცდესძ, მაქსიმუმ 2 წელიწადში მოამთავროს და დაახლოებით 120 მილიონ დოლარში ჩაეტიოს. მაგრამ ეს ფული საიდან, ვითომ ციდან ჩამოვარდება? რატომ ციდან, აგერ არ არის, ბატონებო, დონორი ქვეყნების 4,5-მილიარდიანი დახმარება? ვიდრე არ გადაუფიქრებიათ, მთავრობა ოპერატიულად უნდა მოიქცეს და ამ ფულით გზებსა და შადრევნებთან ერთად გაზსაცავის აშენებაც მოასწროს.

სხვა საქმეა, რას ფიქრობენ ამაზე სპეციალისტები და ექსპერტები. ამ უკანასკნელთა აზრით, გაზსაცავის მშენებლობას სულ მცირე 200 მილიონი დოლარი და 10 წელიწადი მაინც დასჭირდება, მაგრამ მთავრობას, რომელსაც ახლავე უპირებენ გარეკვას, დროის დეფიციტი სჭირს და არც ისეთი თავქერქეტაა (როგორც ზოგ-ზოგები ფიქრობენძ, რომ ის თანხები, რაც ჯიბეში უნდა ჩაიდოს, ტყუილუბრალოდ წყალში გადაყაროს. უკვე გადაწყვეტილია, 2 წელიწადში 120 მილიონ დოლარად ახალ-ახალი, კრიალა გაზსაცავი გვექნება და დანაპირების შესრულებას, როგორც ყველა სხვა ადრინდელს, წვეთი არ გავარდება.

სად აშენდება? რა თქმა უნდა, ნინოწმინდის საბადოში, რომელიც სხვა დანარჩენ საბადოებთან შედარებით დიდი მოცულობისაა და შესაბამისად ნაკლებხარჯიანი იქნება. როგორც ანგარიშობენ, გაზსაცავში 400 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი გაზი ჩაიტუმბება, რაც ქვეყანას გაჭირვების ჟამს 2-3 თვის მარაგად გასწვდება. თუმცა არის ერთი მაგრამ, უფრო სწორად, სუბიექტი, რომლის დაუკითხავად ჩვენი ხელისუფლება ნინოწმინდის საბადოში, ძალიანაც რომ მოინდომოს, ფეხსაც ვერ შეადგამს. ეს სუბიექტი ამერიკული ნავთობკომპანია „კანარგო“ გახლავთ, რომელმაც 1996 წელს დასახელებული საბადოდან ნავთობისა და გაზის მოპოვების 25-წლიანი ლიცენზია შეიძინა. ჰოდა ახლა თუ საბადოს მფლობელმა არ ისურვა, იქიდან ვერც გრამ ნავთობს გამოიტანენ და ვერც მარაგის შესაქმნელად და საჭირო გაზს შეიტანენ. ასეა ეს და მას ჩვენი კანონებზე მხტუნავი ხელისუფლებაც კი ვერაფრით გადაახტება!

თუმცა სპეციალისტები იმასაც არ გამორიცხავენ, რომ ამ საქმეში შესაძლოა „კანარგოსა“ და ქართულ ხელისუფლებას შორის საეჭვო გარიგების სუნიც ტრიალებდეს. საქმე ის გახლავთ, რომ გაზმა, რომელიც წლების წინათ „კანარგომ“ საბადოდან ამოიღო, თავად „კანარგოსვე“ შეუქმნა პრობლემა, რადგან საბადოში წნევა დაეცა და იქ დარჩენილი ნავთობის ამოღება გაუჭირდა. ამიტომ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ნინოწმინდის საბადოში საცავის მოწყობა სწორედ „კანარგოს“ ინტერესს უკავშირდება. მაგრამ ამერიკელი ინვესტორი იმის ჩიტი არ გახლავთ, თავი მოიტყუოს და იმ მოტივით, რომ მისი საქმეც კეთდება, გაზსაცავის მშენებლობაზე იოლად დაგვყაბულდეს. ის, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, საქართველოსგან ან საბადოს გამოსყიდვას მოითხოვს, ან წილში ჩაგვიჯდება!

აბა რა ეგონა ჩვენს „ჭკუადამჯდარ“ მთავრობას, ბენდუქიძისეული „სიბრძნით“ ატრუებულმა რომ მიყიდ-მოყიდა მთელი ეროვნული სიმდიდრეები, შედეგად მარგალიტებს მოიმკიდა? ვერ გეტყვით საქართველოს გამყიდველი ხელისუფლება სამშობლოდან გარეკვის შემდეგ რომელ დაუსახლებელ კუნძულზე აღმოჩნდება, მაგრამ ალბათ დადგება დრო, როცა ჩვენივე მიწა-წყლის ათმაგ და ასმაგ ფასად გამოსყიდვა ან ამავე მიწაზე უცხოელთა ყურმოჭრილ ყმებად ყოფნა მოგვიწევს.

**ოთარ ხუციშვილი**



ინფორმაცია

### სააკაშვილს თავი რომ გაუგრილდეს, მოლაპარაკებაც გაადვილდება

**აფხაზეთის** დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას აზრით, აფხაზებსა და ქართველებს შორის პირდაპირი დიალოგის დაწყება ძალიანაც რეალურია და პირდაპირი დიალოგის დაწყება აუცილებელიც კია.

— ეს აუცილებელია. მაგრამ ეს მოხდება მაშინ, როცა მანდ ვიღაც-ვიღაცებს თავები გაუგრილდებათ, — აცხადებს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც არ დაუმალავს, რომ „ვიღაც-ვიღაცებში“ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იგულისხმა.

— მე სააკაშვილის უახლოეს გარემოცვას შევხვდი შვეიცარიაში და პირდაპირ ვუთხარი, რევერანსების გარეშე, რომ თუკი თქვენ და თქვენი „ნაჩალნიკი“ ასე გააგრძელებთ ურთიერთობებს, ძალიან ბევრ უბედურებას გადაეყრებით თქვენც და მთელი საქართველოც-მეთქი. ხომ, გადაეყარეთ უკვე? კიდევ გადაეყრებით, იმიტომ, რომ თავში არაფერი უდევთ, — განმარტავს სერგეი შამბა.

### ოპოზიციონერებს კვლავ უსმენენ, ოღონდ... აპარატებით

**ოპოზიცია** „კონსერვატორებისა“ და „საქართველოს გზის“ ოფისებში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის საკითხზე დაწყებულ გამოძიებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვას მოითხოვენ.

არასაპარლამენტო ოპოზიციის შესაბამისი მოთხოვნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა გაახმოვანა.

შეგახსენებთ, რომ ორ-ორი მოსასმენი აპარატურა „საქართველოს გზისა„ და კონსერვატიული პარტიის ოფისებში, ორი დღის წინ აღმოაჩინეს. მათგან, თითო სალომე ზურაბიშვილის და ძიძიგური-კუკავას კაბინეტებში, მეორე კი, სათათბირო ოთახებში იყო დამონტაჟებული.

ჯი-ეიჩ-ენი

### აფხაზეთში მაღალჩინოსნებს კლავენ

**სოხუმში** აფხაზეთის დე ფაქტო შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი გიორგი კაცია მოკლეს. ამის შესახებ აფხაზეთის ტელევიზიის ეთერში ე.წ. შს მინისტრის პირველმა მოადგილემ ბესლან ბაღათელიამ განაცხადა.

— გიორგი კაციას სასიკვდილო ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღიდან აქვს მიყენებული. გამოძიებას სოხუმის პროკურატურა აწარმოებს. დამნაშავეების დასადგენად და დასაკავებლად ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები ტარდება. იმედი გვაქვს, დამნაშავეებს უახლოეს მომავალში დავაკავებთ, — აღნიშნა ბაღათელიამ.

ინტერპრესნიუსი

პრობლემა

# რიონზე ხიდი ავყაროთ, ქორი წიწილებს გვტაცებსო

## ელექტროენერგია გვაკლია და რაჭა გავწიროთო?!

**საფრთხემ, რომელიც რაჭას, ონს ემუქრება, სიდინჯით გამორჩეული რაჭველებიც კი აღაშფოთა. აღშფოთების მიზეზი კი მამისონის უღელტეხილთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემებია. არსებული მდგომარეობა 26 ივნისს საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ, საზოგადოება „რაჭამ“, პოლიტიკოსებმა, ისტორიკოსებმა და მეცნიერებმა განიხილეს. შეკრებას მწვანეთა მოძრაობის თავმჯდომარესთან, გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრ ნინო ჩხობაძესთან, ექსპერტ მამუკა არეშიძესთან, პოლიტიკოს დავით საგანელიძესთან ერთად საზოგადოების სხვა ცნობილი წევრები უძღვებოდნენ და დარბაზს იმ საფრთხეების დეტალებს აცნობდნენ, რომელიც რაჭას ემუქრება.**



ონის კასკადი — ასე მოიხსენიებენ პროექტს. ამ ეტაპზე ეს სატენდერო ინფორმაციაა. დოკუმენტი ამის შესახებ მხოლოდ ინგლისურ ენაზეა, ქართულად კი არ არსებობს. პროექტში ნათლად იკვეთება ონის რაიონის რამდენიმე სოფლის საკმაოდ დიდი ტერიტორიების დაკარგვა, ასაგებია 115-მ-იანი კაშხალი, პროექტის ხორცშესხმისთანავე განადგურდება ონი, ღარი, უწერა, გლოლა, შოვი, ჭიორა, ღები. გამორიცხული არ არის ქუთაისის დატბორვაც. ცნობილია, რომ ამ ნაგებობაში სულ 76 ჰიდროელექტროსადგური უნდა იყოს. პირველ ეტაპზე იგეგმება ონის, შემდეგ ონი-ამბროლაურის და ბოლოს ამბროლაურის კასკადი.

უპირველეს ყოვლისა, ადგილზე მეცნიერული კვლევა-ძიების პირობები უნდა შეიქმნას. უნდა შეისწავლონ ამ ადგილების სეისმოლოგიური დასკვნები. თუმცა, როგორც ვიცით და თავად სეისმოლოგებიც განმარტავენ, ფაქტობრივად რაჭაში ასეთი პროექტების განხორციელება ყოვლად მიზანშეუწონელია. გარანტირებულია სასმელი და სამკურნალო წყლის დაკარგვა, 3,500 ჰა მიწისა და ხეტყის მარაგის განადგურება, რასაც მოჰყვება 700-800 მლნ ლარის ზარალი. განადგურდება ასევე 5,4 მილიონი ტონა ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, 300-მდე კომლი უსახლკაროდ დარჩება. რაჭა დაკარგავს ათიათასობით ტურისტს და ათიათასობით მილიონ შემოსავალს, ფაქტობრივად იშლება მთელი ხეობა.

ჯერ კიდევ 1980-იან წლებში უქმნიდა ადიდებული რიონი რაჭის მოსახლეობას საფრთხეს, ასობით ჰექტარი მიწა დაბლა ჩამოჰქონდა და უწერას, ონს და ამბროლაურს აზიანებდა. ახლა კი ადვილი წარმოსადგენია 115-მეტრიანი კაშხალი, რომელიც 283 კუბურ მეტრ წყალს მოიცავს, რა ზიანს მოუტანს ისედაც განადგურებულ რაჭას. ცნობილია, რომ ამ პროექტის განხორციელებას 1934 წელს რუსები გეგმავდნენ, რომელსაც ბიძინა მინდელმა შეუშალა ხელი.

შეკრებაზე ასევე განიხილეს ნაკლები მოცულობის მცირე ჰესების ალტერნატივა, მაგრამ ითქვა, რომ რაიონი მაინც ვერ გადაურჩება დატბორვას. ერთსულოვანი იყო აზრი: შეჩერდეს ტენდერი და დაიწყოს სახალხო გამოსვლები.

**ხატია მუსერიძე**

ესეც ასე!

# „შირაზის ვარდების“ ჩინოვნიკური ეკლები

## როდის ვეღირსებით ჟურნალისტები პასუხს ელემენტარულ კითხვებზე?

**— თუ იცი, რომელ ადგილზე იყო შევარდნაძის დროინდელი საქართველო სიტყვის თავისუფლებისა და ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის მხრივ მსოფლიოს ქვეყნებს შორის და ახლა რომელ ადგილზე ვართ? — მკითხა ცოტა ხნის წინათ მცირედი კამათის დროს მეგობარმა კოლეგამ და თავადვე უპასუხა გამწარებულმა — მაშინ 52-ზე ვიყავით, ახლა კი 147-ზეო.**

ერთი კი დავაპირე კამათის გაგრძელება, მაგრამ უმალვე ბოლოდროინდელი საკუთარი სიძნელეები გამახსენდა, რომლებსაც საჯარო, ვიმეორებ, მოქმედი კანონმდებლობით **საჯარო ინფორმაციის** მოპოვების მცდელობისას გადავაწყდი და ხმა აღარ ამოვიღია. მერე ისიც გამახსენდა, თუ როგორ იყო ადრე, იმ ჩვენგან ათასგზის დაწიხლულ და მიწამიყრილ შევარდნაძის მოქ-

კავშირის დროინდელ პერიოდში (კი არ მივსტირი, უბრალოდ ფაქტი მომყავს): მიმართავდი კაცი რომელიმე უწყებას ინფორმაციის მისაღებად და, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, ამა თუ იმ სფეროში კომპეტენტური და საკითხში გარკვეული პირი მაშინვე გაგცემდა პასუხს.

მავანმა იქნებ იფიქროს — არც მთლად მასე იყო საქმე, ბატონო, ბიუროკრატები აბა, მაშინ იყვნენ თუ იყვნენო, არც შეცდება. ოღონდ ერთი კია: ბიუროკრატია იმ დროსაც ყვაოდა „შირაზის“ ვარდივით და ახლაც, „ერთი ფანჯრის“ ასე გაპიარებულ-რეკლამირებული პრინციპის მიუხედავად. ოღონდ ერთი, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი განსხვავებით: **საინტერესო თემაზე თუ საკითხზე კომპეტენტურ, პროფესიონალურ პასუხს, ფაქტობრივად, ნებისმიერი დონის ხელმძღვანელისგან მიიღებდი ჟურნალისტი, ახლა კი, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, შენთვის ოპერატიულად მისაღებ ინფორმაციას არამცთუ მთლად პირველისგან, მეორე-მესამე-მეოთხე პირისგანაც კი თვეები თუ არა, კვირები მაინც უნდა ელოდო.** ბეჭდვითი სიტყვა კი, მით უმეტეს გაზეთი, მოგეხსენებათ, პეპელასავითაა: დღეს-ხვალ თუ არ გააშუქე საჭირბოროტო საკითხი, მერე შეკითხვაც შესაძლოა მოძველდეს და თემაც.

**არადა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველა სახელმწიფო უწყებაში, კერძო ფირმასა თუ, უკაცრავად და, „ნუცას სკოლებშიც“ შექმნილი ეგრეთ წოდებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების“ უმრავლესობა საზოგადოების დროულად და სწორად ინფორმირებისთვის კი არა, მისგან სიმართლის დასაფარავად არის შექმნილი.**

ამის საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეს მოგაწვდით, პატივცემულო მკითხველო. რამდენიმე წლის წინათ ეკონომიკის სამინისტროსგან წინა წლის მანძილზე შემოსული ინვესტიციების ოდენობის, დარგებისა და კერძო ადრესატების თაობაზე ინფორმაციის მიღება მინდოდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში მითხრეს: ამ თემაზე მხოლოდ მიმართულების კურატორი მინისტრის მოადგილე თუ დაგელაპარაკება, **სხვას უფლება არა აქვს,** ოღონდ ამჟამად საზღვარგარეთ არის და ორსამ კვირაში ჩამოვაო.

თავდაპირველად ეს საკმაოდ უკბილო ხუმრობად აღვიქვი, მერე კი, დრო რომ გავიდა და ქალბატონი მინისტრის მოადგილე მოვიკითხე, ახლა სტუმრები ჰყავს, შენთვის ვერ მოიცლის, მერე კი სამთვიანი მიწვევით მიდის ცოდნის დონის ასამაღლებლადო, მითხრეს...

კი, ბატონო, მაგრამ განა ამ საკითხში მის გარდა არავინაა გარკვეული ანდა, თუნდაც, ჩახედული-მეთქი, რომ ვიკითხე, როგორ არ არის ასეთი ხალხი, მაგრამ მათ ჟურნალისტის შეკითხვაზე პასუხის გაცემის უფლება არა აქვთო, გამიმეორეს. სემუელ ბეკეტის პიესა „გოდოს მოლოდინში“ გამახსენდა მაშინვე, რომელიც აბსურდის თეატრის ერთ-ერთ მარგალიტადაა მიჩნეული, მაგრამ ამ საჯაროობის რენესანსში ნამდვილად არ მეაბსურდებოდა! არადა, იმ შეკითხვაზე პასუხი დღესაც არ მიმიღია. თუმცა ეს ახლა ჩემს გარდა, ვეჭვობ, ვინმეს ახსოვდეს.



მეორე ასეთი „ბეკეტისეული“ შემთხვევა სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს ახალგაზრდა ხელმძღვანელთანაა დაკავშირებული, რომელსაც საბიუჯეტო უწყებების მიერ გაზეთებში აუცილებლად გამოსაქვეყნებელ განცხადებებთან დაკავშირებით კანონით ადრევე გასამართ, მაგრამ, ვგონებ, ჯერაც გაუმართავ ტენდერის საკითხთან დაკავშირებით მივაკითხე. იქაც, უფროსის უნებართვოდ კაცი არ დამელაპარაკა, თავად შვილისტოლა ჭაბუკმა კი ჯერ სამი თვე უაზროდ მარეკინა და მატარა თავის უწყებაში, ბოლოს კი, როცა, როგორც იქნა, მის კაბინეტში **შეცდომით** სხვის მაგივრად შემიშვა მდივანმა, ყოველგვარი მორიდების გარეშე გამომისტუმრა — თქვენთვის ამ კვირაში არ მცალია, მერე კი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს შეუთანხმდით, **თორემ მე ჯერჯერობით ტენდერის დანიშვნას არ ვაპირებო.**

ისე მოხდა, რომ ვერც ის სარედაქციო დავალება შევასრულე, თუმცა ამასთან დაკავშირებით ოფიციალური შეკითხვაც გავუგზავნე სააგენტოს და „საქართველოს რესპუბლიკის“ ეგზემპლარიც ჩემი ხელით მივართვი, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით არცთუ ალერსიანი წერილი დავუწერე.

პასუხი, როგორც ჩანს, დღესაც გზაშია, ახალგაზრდა ხელმძღვანელი კი (გიორგი მელაძე — ახლა უკვე ხელისუფლების წინაშე „დამსახურების“ გამო დაწინაურებული — საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეა) ისევე ვარდივით ყვავის და ვარდივით ეკლებს იჩხვლიტება, როცა უხერხულ შეკითხვას აძლევენ.

კიდევ არაერთი მსგავსი ფაქტის გახსენება შეიძლება, როცა იმის მაგივრად, რომ უბრალოდ მიგიღონ ჟურნალისტი და პასუხიც ოპერატიულად გაგცენ, ამის გაკეთებას უსაშველოდ აჯანჯლებენ ამა თუ იმ მიზეზით. ბოლოს ასეთი რამ შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ დაკავშირებით დამემართა — ამა წლის 18 ივნისს რედაქციამ წერილით მიმართა ამ საზოგადოების შესაბამის სამსახურს, დაგვხმარებოდა მოარული ხმების გაფანტვაში (ანდა, პირიქით, დადასტურებაში) რკინიგზის მოსალოდნელ გასხვისებასთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ მანამდე გაზეთში ამის თაობაზე რამდენიმე მასალა გამოქვეყნდა.

მას შემდეგ უკვე ორ კვირაზე მეტი დრო გავიდა, ამასობაში რედაქციას კიდევ ერთხელ მოუწია იძულებით ბინის შეცვლა. გადასვლას რამდენიმე დღე დასჭირდა, ამიტომაც თავადვე დავუკავშირდი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შემთხვევით პასუხი ძველ მისამართზე ხომ არ გამოგიგზავნიათ და ხომ არ დაკარგულა-მეთქი.

— ბატონი ირაკლი ეზუგბაია აქ არ გახლავთ, მხოლოდ შაბათს ჩამოდის საზღვარგარეთიდან, ორშაბათს კი ისევ მიემგზავრება ერთკვირიანი მივლინებით, მერე, ალბათ კიდევ ერთხელ მოუწევს გამგზავრება. იქიდან ჩამოსული კიდევ როდის მოიცლის, არ ვიცი, ბევრი სტუმარი ეყოლებაო, მერე კიდევ... — პასუხს სტენოგრაფიული სიზუსტით ვერ გადმოგცემთ, მაგრამ შინაარსს კი სწორად მოგახსენებთ.

**ფაქტობრივად, გამოდის, რომ ქვეყნის სამხედრო თუ ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის ისეთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის გაყიდვა-არგაყიდვის თაობაზე ელემენტარულ შეკითხვაზე შპს-ს „თლა უფროსის“ გარდა, რომელსაც ლამის ერთი რონოდა მოადგილე და კიდევ ერთი მოძრავი შემადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ჰყავს, უკეთეს შემთხვევაში მთელი თვის განმავლობაში პასუხის გაცემა ან არავის შეუძლია (აზრზე არ არის და იმიტომ) ანდა ნება არა აქვს (აკრძალული აქვს და იმიტომ).**

ვფიქრობ, დამეთანხმებით, ბატონებო: ორივე შემთხვევაში საგიშვიშო და განგაშის ზარის შემოსაკვრელი ამბავია ჩვენს თავს, თანაც არც ის ვადა ვიცით, ქვეყნის მთავარ რკინიგზელს ან შეკითხვის ამბავს როდის მოახსენებენ, ანდა თავად როდის ინებებს პასუხის გაცემას.

**ოთარ ტურაბელიძე**

ქველმოქმედება

***ანა მდივანი-მორო.** ეს სახელი ბევრისთვის არაფერს ამბობს, მაგრამ სამაგიეროდ ქალბატონი ანას საქმე თესავს სიკეთეს. მისი სასაუბროდ დაყოლიება ძნელი აღმოჩნდა, რადგან ფიქრობს, რომ უმჯობესია, ქველმოქმედება დაფარული იყოს.*

*სხვათა დახმარების სურვილი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდას გაუჩნდა, როცა მოხალისედ ჩაეწერა „წითელ ჯვარში“ და აფხაზეთში დაჭრილ მეომრებს უვლიდა, თუმცა კი პროფესიით გეოგრაფია. შემდეგ ამერიკელზე დაქორწინდა და 17 წლის წინათ საქართველოდან კალიფორნიაში გადავიდა საცხოვრებლად. ახლა იქ კერძო სამხატვრო ასოციაციას ხელმძღვანელობს, „არტდილერია“: პარალელურად კი გაუჩნდა სურვილი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი და სასიკეთო გაეკეთებინა თავისი ქვეყნისთვის. ერთი წლის წინათ ამ ოცნების განხორციელებაც შეძლო. თუმცა ამ ყველაფერზე უფრო საინტერესოდ თვითონ გიამბობთ:*

# ამერიკაში ჩაფიქრებული და საქართველოში ახდენილი ოცნება

## ბავშვთა სახლის დიდი დიასახლისი



— ალბათ, ყველა ადამიანში არის ქველმოქმედების სურვილი, უბრალოდ, ამას გაღვიძება სჭირდება. მე ავირჩიე, ზრუნვამოკლებულ პატარებს, ბავშვთა სახლებს დავხმარებოდი. დავუკავშირდი საქართველოს განათლების და ჯანდაცვის სამინისტროებს. წარვუდგინე ჩემი თავი, ვუთხარი, სურვილი მაქვს ბავშვებს დავეხმარო-მეთქი და ბავშვთა სახლების დათვალიერების ნებართვა ვთხოვე. მათ სიამოვნებით გადმომცეს სია. მე ვარ კერძო პირი, რომელსაც სპონსორი არ მყავს. მარტში ჩამოვედი და პირადად დავათვალიერე ყველა სახლი. რომ დავბრუნდი, ამერიკაში ჩამოვაყალიბე ორგანიზაცია „მხარდაჭერა ბავშვებს“ იმისთვის, რომ ჩემს საქმიანობას უფრო ლეგალური მხარე ჰქონოდა და შევუერთდი ერთ-ერთ უძველეს და პრესტიჟულ ორგანიზაციას „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“.

**— ახლა კვლავ ჩამობრძანდით საქართველოში, რა გეგმები უნდა განახორციელოთ?**

— სულ თერთმეტი სახლი დავათვალიერე, მაგრამ ჩემი ფინანსები ყველას ვერ გასწვდება. ამჯერად ერთ-ერთი ავირჩიე (თუმცა რომელი არ დავასახელებ). ამ სახლს სჭირდება კაპიტალური რემონტი, გათბობა, წყალი, ბავშვებს არა აქვთ საკმარისი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. ორ კილომეტრს სკოლამდე ფეხით გადიან, ამიტომ ვფიქრობ, რომ ტრანსპორტიც შევუძინო. თუ ეს ყველაფერი ბოლომდე მივიყვანე, მერე სხვასაც მივხედავ.

**— რატომ გაგიჩნდათ ბავშვთა სახლების დახმარების სურვილი და არა ვთქვათ, კულტურის, ან ხელოვნების დაფინანსების, მით უფრო, რომ თქვენ „არტდილერი“ ბრძანდებით? სხვათა შორის, შვილები თუ გყავთ?**

— შვილი არა მყავს, მაგრამ ახლა ერთბაშად ძალიან ბევრი ბავშვი მეყოლება.

ჩემი აზრით, მთავარია, როგორი მოავალი გაიზრდება. რა მენტალიტეტიც ბავშვობაში ჩამოუყალიბდება ადამიანს, ისეთი მოქალაქე გაიზრდება. ცუდად აღზრდილები მერე უფრო დიდ პრობლემას შეუქმნიან საზოგადოებას. მინდა, რომ ისინი არ იყვნენ გაბოროტებულები, პირიქით, ჯანსაღი და სრულფასოვანი მოქალაქეები უნდა გახდნენ. ნორმალური ფსიქიკის და ნორმალურ პირობებში გაზრდილები. თან არ უნდა აჩვენო, რომ გეცოდება, თორემ მერე მიეჩვევიან მას.

**— თქვენი მეუღლეც თან გახლავთ, არა?**

— დიახ. ის ამერიკელია, რომელიც ორი წელიწადი აქ მუშაობდა. ძალიან უყვარს საქართველო. ერთად დავიარეთ ბავშვთა სახლები, საჩუქრები გადავეცით. მარტში რომ ჩამოვედი, ერთი კვირა ვერ ვჭამდი, ვერ ვიძინებდი, ისე განვიცდიდი ამ ბავშვების მდგომარეობას.

**— გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე, როგორ გარისკეთ ამ საქმისთვის ხელის მოკიდება?**

— მართლაც, ცუდი დრო ავირჩიე ამისთვის, მაგრამ როდესმე ხომ უნდა დამეწყო? არ მინდა, გადავდო. ეს ცხოვრება ისე არ უნდა გავიარო, რომ რაღაც ღირებული არ გავაკეთო.

**— მართლა ასე რთულია ამერიკაში ცხოვრება? ზოგიერთი ემიგრანტი სხვას კი არა და თავსაც ვერ ირჩენს.**

— ამერიკაში ლეგალურად უნდა ცხოვრობდე. მუშაობის უნარი და სურვილი გქონდეს. ცხოვრება რთულია. იქ არავინ არ გეხმარება, არ არსებობს და, ძმა, მეგობარი. მაგრამ იმიტომ რომ ემიგრანტი ხარ, არავინ გჩაგრავს, რადგან ამერიკა ემიგრანტების ქვეყანაა.

**— იქ როგორი პირობები აქვთ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს?**

— პრობლემები იქაც არის, მაგრამ საცხოვრებელი პირობები ბევრად უკეთესი აქვთ.

სხვათა შორის, მითხრეს, რაღა სხვას უნდა დავეხმაროთ, ჩვენს პრობლემებს მივხედოთო. მაგრამ იქ მოვაწყე პრეზენტაცია, ჩავიტანე ფოტომასალა და რომ ნახეს, რა წარმოუდგენელი პირობებია, უმალვე დამთანხმდნენ. მე ქართველი ვარ და ჩემს ქვეყანას მინდა დავეხმარო. სახლების გარემონტება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული; ფინანსების მოზიდვა ეს პირადად ჩემი საზრუნავია. ერთ კვირაში მივემგზავრები. იქ მოვაწყობ სამხატვრო აუქციონს და შემოსულ თანხას ბავშვთა სახლს მოვახმარ.

საერთოდ, ამერიკელები ძალიან კეთილები არიან, დახმარება უყვართ, მაგრამ აუცილებლად უნდა დაარწმუნო იმაში, რომ ბოლო ცენტიც კი ადრესატამდე მივა. ყველაფერში გამჭვირვალობა უყვართ.

მეც ის სახლი ავირჩიე, რომელსაც ორგანიზაცია „Save the children“ უწევს მონიტორინგს. ძალიან სანდო და ახლობელი ადამიანები ჩავრთე ამ საქმეში, იმისთვის, რომ ჩემი გამოგზავნილი ტვირთი „მეორადებში“ კი არ მოხვდეს, არამედ აბსოლუტურად იმ დანიშნულებას მოხმარდეს, რისთვისაც ვაგზავნი.

**— ძალიან კეთილ და ღვთისნიერ საქმეს აკეთებთ, ქალბატონო ანა...**

— დიდი სურვილი მაქვს, რომ ბავშვების განათლების მხარესაც მივხედო. ჯერ ერთი მინდა, განსაკუთრებით ნიჭიერებს მთელი სწავლის საფასური დავუფინანსო. ასევე მინდა, ბავშვებს დავუქირავო მასწავლებელი, მაგალითად, უცხო ენაში. აუცილებელია ასევე, რომ ხელობა, პროფესია ისწავლონ. ბავშვთა სახლებს რომ დატოვებენ, თავი ხომ უნდა ირჩინონ?

**— ე. ი. თქვენი ქველმოქმედება ერთჯერადი არ არის?**

— რა თქმა უნდა, ის გრძელვადიანია, თუმცა ჩემი ყველაზე დიდი სურვილი ის არის, რომ საერთოდ არ არსებობდეს ბავშვთა სახლები და ყველა პატარას თავისი მშობლიური კერა ჰქონდეს, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შეცვლის...

ესაუბრა
**ნია ფიფია**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის მანევრები კავკასიაში ამ რეგიონის არასტაბილურობას ადასტურებენ

**საქართველოს მთიანი რაიონების თავზე კვლავ დაფრინავენ სამხედრო შვეულმფრენები. ჯარისკაცები ავტომატების სროლის ხმაზე გარბიან ბრძოლის ველზე, გადაჰყავთ თავიანთი ამხანაგები საკაცეებით. მაგრამ ეს არ ყოფილა გამეორება შარშანდელი ომისა რუსეთთან.** ეს იყო სწავლება და ამჯერად ნატომ თავისი დახმარება გამოიყენა საქართველოსთვის. ერთი თვის მანძილზე მიმდინარე სწავლება დამთავრდა 3 ივნისს. მასში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ 14 ქვეყნიდან, და ეს სწავლება მიმდინარეობდა საქართველოს საზღვრების მახლობლად. რუსეთის მთავრობამ დაგმო ეს სწავლება და მას „პროვოკაცია“ უწოდა. ამჟამად კი კრემლი აწყობს საკუთარ სამხედრო მანევრებს კავკასიის რეგიონში. მაღალჩინოსანი რუსი სამხედრო გენერალი ნიკოლაი მაკაროვი აცხადებს, რომ ამ „მასშტაბური სწავლებისთვის“ გამოყენებული იქნებიან „ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის, შავი ზღვის ფლოტისა და კასპიის ფლოტის ყველა ბრიგადა“. მაკაროვი პირადად უხელმძღვანელებს ამ მოქმედებებს, რომლებმაც მიიღეს სახელწოდება „კავკასია – 2009“. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობების თანახმად, მანევრები დაიწყო ორშაბათს და დამთავრდება 6 ივლისს – ზუსტად იმ დღეს, როდესაც პრეზიდენტი ობამა ჩავა მოსკოვში თავისი პირველი სახელმწიფო ვიზიტით.

ეს ორი სამხედრო სწავლება ადასტურებს არასტაბილურობას, რომელიც შენარჩუნებულია რეგიონში შარშანდელი ომიდან ათი თვის შემდეგ, როდესაც რუსეთის ჯარებმა გაანადგურეს საქართველოს არმია 5 დღის განმავლობაში. რუსეთის სამხედრო სწავლება მიმდინარეობს მაშინ, როდესაც საერთაშორისო მეთვალყურეთა ორი მისია ტოვებს ამ რაიონს, ხოლო რუსეთის შეიარაღებული ძალები აგრძელებენ ტერიტორიის ოკუპაციას, რომელიც ერთი წლის წინათ უდავოდ ითვლებოდა საქართველოს ნაწილად. ეუთოს მეთვალყურეთა ჯგუფმა უნდა დატოვოს საქართველო თვის დასასრულისთვის. მოსკოვმა კი გასულ კვირას გამოიყენა თავისი ვეტოს უფლება გაეროს უშიშროების საბჭოში, რათა შეჩერებულიყო გაეროს მისია მეორე თვითგამოცხადებულ რეგიონ – აფხაზეთში.



საქართველოს ხელისუფლების რეაქცია რუსეთის სწავლებაზე მიყუჩებული იყო. მაგრამ თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე ამ თვეში იმყოფებოდა ვაშინგტონში, სადაც მოუწოდებდა ობამას ადმინისტრაციას, განემტკიცებინა სამხედრო თანამშრომლობა საქართველოსთან. ერთ-ერთ თავის ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რუსეთის ჯარები დღეს „უფრო უკეთ არიან მომზადებული ომისთვის, ვიდრე ეს შარშან იყო“. ამ ინტერვიუში სიხარულიძემ დაუმატა, რომ საქართველო თანამშრომლობს შეერთებულ შტატებთან თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის საქმეში. „თუ შევადარებთ რუსეთისა და საქართველოს სამხედრო ორგანიზაციებს, აღმოვაჩენთ უზარმაზარ დისბალანსს, – აღნიშნა მან, – მაგრამ საქართველოს არმიამ გაიარა მომზადება და კვლავ აგრძელებს ასეთ საქმიანობას, რათა თავიდან აიცილოს და შეაჩეროს რუსეთის აგრესია“.

ნატო დაჰპირდა საქართველოს, მიელო იგი ალიანსის რიგებში, მაგრამ მან უარყო თბილისის თხოვნა, მიენიჭებინა მისთვის წევრობისთვის მზადების ზუსტი გრაფიკი. ამის ნაცვლად ალიანსმა მოაწყო ამ ქვეყნის პროგრესის ყოველთვიური შეფასების პროცესი ნატოს მოთხოვნათა შესრულების საქმეში.

**სარა მარკუსი**

The Washington Post

# რუსეთი ორ ფრონტზე მუშაობს

**კუნძულ კორფუზე – მისალმებანი, საქართველოში – ჯარისკაცების ჩექმების ბრახუნი. მოსკოვში ბარაკ ობამას პირველ ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე რუსეთი მუშაობს „ორ ფრონტზე“.**

შაბათს საბერძნეთის ამ კუნძულზე ნატომ და რუსეთმა გამოაცხადეს პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ოფიციალური განახლების შესახებ, რაც შეწყდა შარშან აგვისტოში საქართველოში ომის გამო. მაშინ რუსეთის ტანკებმა განდევნეს საქართველოს არმია, რომელიც ცდილობდა აღედგინა კონტროლი სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რესპუბლიკაზე. მაგრამ სტრატეგიული პრიორიტეტი ვაშინგტონისთვის დღეს არის „ავპაკი“ (ავღანეთი-პაკისტანი). ავღანეთი კი, როგორც კუნძულზე ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა, წარმოადგენს საქმიანობის სფეროს, რომელშიც შეიძლება განვითარდეს უფრო მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთის მხრიდან.

ეს დადებითი სიგნალი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მოსკოვის და ვაშინგტონის სურვილსაც – წარმატებით განახორციელონ ბარაკ ობამას ვიზიტი, რომელიც რუსეთის დედაქალაქში უნდა ჩავიდეს 6 ივლისს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შეიძლება გამოცხადდეს კიდევ წინასწარი შეთანხმების დადების შესახებ ბირთვულ განიარაღებაზე.

მიუხედავად ამისა, კორფუზე რუსეთმა და ნატომ შეგვახსენეს მათ შორის არსებულ „ფუნდამენტურ აზრთა სხვადასხვაობაზე“ საქართველოს საკითხთან დაკავშირებით. ბერძნულ კუნძულზე გაიმართა არაფორმალური შეხვედრა ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრებისა. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია ევროპისა და შუა აზიის ქვეყნების, აგრეთვე შეერთებული შტატებისა და რუსეთის 56 მინისტრი.

მოსკოვში მომუშავე ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატი აღნიშნავს, რომ ვერ გაუგია, რა სარგებლობა შეუძლია გამოიტანოს მოსკოვმა ახალი კონფლიქტიდან თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მან უკვე მიიღო სამხედრო ბაზები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, მიხეილ სააკაშვილმა კი დაკარგა ნდობის კრედიტი თავის ამერიკელ მფარველებთან. მაგრამ ერთი წლის წინათ, როდესაც რუსეთი და საქართველო ამზადებდნენ საზოგადოებრივ აზრს ომისთვის, მეთვალყურეთა უმრავლესობასაც არ სჯეროდა ამისი შესაძლებლობა...

**ფაბრის ნოდე-ლინგლუა**

LEFIGARO

## დედამიწის ზურგზე



**ირანში ხმების ხელახალმა დათვლამ დაადასტურა ახმადი-ნეჟადის გამარჯვება**

ირანის კონსტიტუციის დამცველთა საბჭომ – ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მოაწყო ალალბედად შერჩეული ბიულეტენების 10 პროცენტის ხელახალი გადათვლა. ამ პროცედურამ, რომელიც მოეწყო სხვა ექსკანდიდატების პროტესტის შემდეგ, ვერ გამოავლინა დარღვევათა ფაქტები, აღნიშნულია შემაჯამებელ ცნობაში.

* * *

**ამერიკის კონგრესმენებმა და სენატორებმა წარადგინეს ხოდორკოვსკის მხარდამჭერი რეზოლუცია**

ბარაკ ობამას რუსეთში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე წარმომადგენელთა პალატის წევრებმა, დემოკრატებმა ჯეიმს მაკგოვერნმა და რობერტ ვეკსლერმა წარმოადგინეს განცხადება, რომლითაც მოითხოვენ ხოდორკოვსკის და ლებედევის პროცესი აღიარონ „პოლიტიკური მოტივირებისა და არჩევითი დევნის ნიმუშად“.



* * *

**ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა დატოვეს ერაყის ქალაქები**

30 ივნისი ოფიციალურად გამოცხადდა სადღესასწაულო დღედ – ქვეყანა ემზადება ღირსეულად აღნიშნოს ამერიკელთა სამხედრო ყოფნისგან „გათავისუფლების“ პირველი დღე. ამ დროს, როგორც ადგილობრივი მეთვალყურეები აღნიშნავენ, ამერიკელების წასვლის შემდეგ სწორედ დიდი ქალაქები, როგორებიცაა ბაღდადი და მოსული, გახდებიან ყველაზე მტკივნეულ ადგილად ტერორისტებისათვის.

# თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს პირობით აუქციონს

**აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:**

1. სოფ. კოდაში, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ყოფილი 2 სართულიანი მაღაზიის შენობის I სართული – 563 $м^2$. შენობა-ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. შენობა გაძარცულია, საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას. საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 5020 აშშ დოლარს.

„ბე“ – შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის არანაკლებ – 10 პროცენტს.

ბიჯი – საწყისი გასაყიდი ფასის არანაკლებ – 5 პროცენტისა.

მონაწილის ბილეთის ღირებულება – 50 ლარი.

**განსაკუთრებული პირობა:** აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია 5 წლის განმავლობაში ობიექტი დატვირთოს ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კუთხით.

2. სოფ. კოდაში, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ყოფილი ოფიცერთა სასადილო – შენობის 126 $м^2$ და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. შენობა წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, გაძარცვულია და საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 2520 აშშ დოლარს.

„ბე“ – შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის არანაკლებ – 10 პროცენტს.

ბიჯი – საწყისი გასაყიდი ფასის არანაკლებ – 5 პროცენტისა.

მონაწილის ბილეთის ღირებულება – 50 ლარი.

**განსაკუთრებული პირობა:** აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია შეძენილი ფართი გამოიყენოს ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგებისა და მომსახურების კუთხით.

3. დაბა მანგლისთან ნაკვეთ „ბუტკებთან“ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 100 $м^2$ მიწის ნაკვეთი. საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს – 155 აშშ დოლარს.

**განსაკუთრებული პირობა:** აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია შეძენილი ფართი გამოიყენოს ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგებისა და მომსახურების კუთხით.

„ბე“ – შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის არანაკლებ – 10 პროცენტს.

ბიჯი – საწყისი გასაყიდი ფასის არანაკლებ – 5 პროცენტისა.

მონაწილის ბილეთის ღირებულება – 50 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა, საააუქციონო კომისიას უნდა წარუდგინონ: განაცხადი არსებული ფორმით, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ასლი, „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (გარდამავალ პერიოდში – მმართველობის ადგილობრივ ორგანოს) მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია, მოთხოვნილი პირობის დაცვა და მაქსიმალური ფასის გადახდა.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა **განცხადების** მიღება წარმოებს, **განცხადების** პრესაში გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10-დან 18 საათამდე ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო სამუშაო დღის 14 საათზე.

აუქციონი გაიმართება განცხადების მიღების ბოლო დღეს 15 საათზე.

**თანხის გადახდა უნდა მოხდეს:** თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ა/ა 242987100, საიდენტიფიკაციო კოდი: 230869254.
საქართველოს ბანკის თეთრიწყაროს №54 ფილიალი.
ბანკის კოდი 220101502

ანგარიშსწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ აშშ-ს დოლართან მიმართებაში განსაზღვრული კურსით.

**დამატებითი ცნობების მისაღებად მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. №34.**
**ტ. 899 75-38-85.**

ბედისწერა

# 150 წლის იუბილემდე ვერ მიაღწია

**არა, ამჯერად ასე შორს არ წავალ, თუმცა ადრე გადამიშლია დიდი სიფრთხილითა და მოლოდინითაც – გამმართლებია კიდეც – მიმიგნია მისაგნებისთვის... დიახ, გაზეთი, თუნდაც ასწლიანი, კვლავ გაზეთია, ის თავის დროის სარკეა, – ასე სწამდათ ქართული პრესის მამამთავრებს – XIX საუკუნის დიდ მოღვაწეებს – თერგდალეულებს!**

ახლა კი აქვე, – წინა საუკუნეში მომიხდა „გასეირნება“ – ჩემი დიდი არქივი სანახევროდ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის იმ ნათელ ოთახში ჩარჩა, სადაც თითქმის 30 წელი ვილვაწე, 2 წლის წინათ კი ვერაგულად გამოგვყარეს, – დიახ, გამომცემლობა „სამშობლოზე“ მოგახსენებთ, – რა სამშობლო, რის სამშობლო, ჩქარა, ჩქარა, თორემ ყველაფერს გავყრითო... ნაწილს მოვერიეთ, ნაწილს ვერა, – შინ წამოვილე და მას აქეთ ყველა კუთხე-კუნჭული მოკავებულია, – ცხადია, გადასარჩევია, იქ ამის საშუალება სად იყო, – ცოტა დროს რომ მოვიხელთებ ხოლმე, ვცდილობ, რაც „ზედმეტი“ აღმოჩნდება, გავიმეტო, – ჰოდა, ამჯერად 80-იანი წლების პრესა მომყვა ხელში – მათ შორის „ახკომიც“, რომლის რედაქციაში ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გამიტარებია... აქ უკვე ჩემს შემდეგი ნომრები იყო – მიყვარდა და ვინახავდი. დრო რომ გადის, სხვა თვალით და სხვა ცნობისწადილით ათვალიერებ იმ კაბადონებს, რომლებზეც დროდადრო კვლავაც ვაქვეყნებდი ნარკვევებს თუ ლექსებს...

... თაობა შეიცვალა, ავტორთა უმრავლესობა ჩემთვის უცნობია, – ხუმრობა ხომ არ არის, – ათ წელზე მეტი იყო, რაც იმ რედაქციაში აღარ ვმუშაობდი – მგონი სიტყვა გამიგრძელდა, – მღელვარების ბრალია, – წავაწყდი ისეთ პუბლიკაციას, რომელიც დღეის დღეს ყველა ასაკის ადამიანს მოხვდება კაკალ გულში – „მინდა საუკუნენახევარი ვიცოცხლო“ – სათაურის გვერდით ახალგაზრდა კაცის ფოტოსურათია, – პუბლიკაცია მოუმზადებია **თამაზ სულაძეს,** – იმ ხანად ახალგაზრდული გაზეთის რედაქტორი ცნობილი ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი იყო, – მან გაზეთში ახალგაზრდობის



ახალი ჯგუფი მიიზიდა, რომელიც მთელ საქართველოს „შეესია“ – თუმცა არც ჩვენი თაობა აკლებდა ხელს ამ მამულიშვილურ საქმეს! – „ახალგაზრდა კომუნისტის“ მუდმივმოქმედი ჟურნალისტური ექსპედიცია **„სრულიად საქართველო“** ერქვა იმ კაბადონებს, რომლებზეც დამწყები ჟურნალისტები შლიდნენ ფრთებს.

რატომ შევაჩერე ყურადღება თამაზ სულაძის წერილზე – ვის ეხება მის მიერ 1988 წლის 27 აგვისტოს ნომერში (№104ძ მეოთხე გვერდზე დაბეჭდილი მასალა – „მინდა საუკუნენახევარი ვიცოცხლო“... არც მეტი, არც ნაკლები... ეს კაცის სურვილი და ნატვრაა, ვისაც ამ ნატვრის ნატეხი, – მხოლოდ და მხოლოდ ნახევარი საუკუნე არგუნა ბედმა – დიახ, ეს მაიკლ ჯექსონის სურვილია, რომლის ვარსკვლავიც უკვე კაშკაშებდა საესტრადო ცის კაბადონზე და ორიოდ დღეში – 29 აგვისტოს, 30 წელი შეუსრულდებოდა!.. წერილიც სწორედ ასე იწყება:

...თავისი სურვილის ასრულებამდე ჯექსონს არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 120 წელი დარჩა...

მაინც, რამ მისცა ასეთი ოპტიმიზმის საბაბი კაცს, რომელსაც მიუხედავად მსოფლიო აღიარებისა და ზეიმური კონცერტების, დღეს მოიხსენიებენ ყველაზე მარტოსულ ადამიანად?!. მას სიბერის საწინააღმდეგო მრავალნაირი საშუალებისთვის მიუმართავს – თუმცა საკვირველია, რომ ეს შიში სიჭაბუკეშივე გასჩენია... მიუხედავად იმისა, რომ ფერისცვალობაც კი მოახერხა... და წამდა თურმე, შეუძლებელს რომ შეძლებდა – 150 წლის იუბილემდე მიაღწევდა...

...ძალზე დამაღონა ახალგაზრდა ხელოვანის ასეთმა ბედისწერამ... და იმანაც, რომ ერთმანეთს დაემთხვა სიზმარი და ცხადი: თანატოლები (დაცოტავებულნიძ ვიყავით ერთად, – ერთ-ერთი ვითომ თავის გატაცებებზე საუბრობდა და სწორედ ერთი „ფერადი“ მომღერლით გატაცება ახსენა! დილით ჩემს დას ეს სიზმარი ვუამბე – მან ჯექსონის დაღუპვის ამბავი მითხრა...

...არავინ უწყის, თუ სად არის ზღვარი სიზმარსა და ცხადს შორის...

**ნანა ღვინეფაძე.**
**2009 წლის 28/VI**

ლექსის ტრფიალი

# წახნაგიას პოეტური წახნაგები



**პოეტი ღუღუნი წახნაგია 1933 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მეორე ჭოლაში დაიბადა. მომავალი პოეტისთვის ანბანი დიაკვან ესტატე ქარჩავას უსწავლებია. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ღუღუნი სწავლას აგრძელებს პირველი ჭოლის საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობდა მეცხრე კლასამდე. შემდეგ სწავლა გაუგრძელებია გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარანში. 1958 წელს ის ჩაირიცხა ქ.გორის ნ.ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აღნიშნულ ინსტიტუტში პოეტის განსაკუთრებულ ნიჭს სათანადოდ აფასებდნენ თვითონ ინსტიტუტის რექტორი გიორგი ხარაული და გამოჩენილი პროფესორ-მასწავლებლები სერგი მაკალათია, სიმონ გაჩეჩილაძე, ბორის დარჯანია, შოთა ქურდაძე, ტიტე სარიშვილი, მიხეილ ახობაძე. მეორე კურსიდან ღუღუნი აურჩევიათ ფილოლოგიის ფაკულტეტის გაზეთის რედაქტორად, ის ამ გაზეთს უძღვებოდა ინსტიტუტის დამთავრებამდე...**

**სტუდენტობის წლებიდან პოეტი მორის ფოცხიშვილს დაუმეგობრდა და ბოლოს მინდია არაბულის რედაქტორობით გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა პოეტის პირველი ლექსთა კრებული – „უსასრულო გზა“.**

**პოეტი დღესაც თავის მშობლიურ სოფელში ცხოვრობს, სოფლის ჭირისა და ლხინის მოზიარეა და არც არასდროს უფიქრია ცხოვრება სხვაგან და სხვანაირად.**

**ბატონი ღუღუნი ამჟამად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის რესურსცენტრთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას ხელმძღვანელობს და წარმატებით ეწევა შემოქმედებით საქმიანობას.**

**ის დიდი ოჯახის პატრონია. ჰყავს პედაგოგი მეუღლე, ხუთი შვილი და სამი შვილიშვილი.**

**ქვემოთ გთავაზობთ ღუღუნი წახნაგიას რამდენიმე ახალ ლექსს.**

**იოსებ გობეჩია**

## აფხაზეთი

აფხაზეთი საქართველოს ჩინია,
აფხაზეთი ქართველ ერის ჰიმნია,
აფხაზეთი სიმღერა და ლხინია,
აფხაზეთი სიყვარულის ჟინია!..
აფხაზეთი ზღვის ღელვა და ქარია,
აფხაზეთი ერის სულის საყდარი,
აფხაზეთი – ძველი მეგობარია,
აფხაზეთო, სიყვარული სად არის?!
აფხაზეთი – ძირძველ მიწის
ტკივილი,
აფხაზეთი – საქართველოს
მშვენება,
აფხაზეთი – გამარჯვების ყივილი,
აფხაზეთო, მზე არ ჩაესვენება!
აფხაზეთი – კოლხი ნანას თვალები,
აფხაზეთი – მზეჭაბუკის სიზმარი,
აფხაზეთო, გკოცნი, გენაცვალები,
აფხაზეთო, რა ვიღონოთ
გვითხარი!..
აფხაზეთო, ირეკება ზარი და,
აფხაზეთო, ღვთისმშობელი
ორსულობს,
აფხაზეთო, გახსენ გულის კარი და,
აფხაზეთო, საქართველო
ლოცულობს!!!

## ძახილი

ხმა საოცარი, ჯერ არსმენილი...
ჯერ უხილავი კაცი მეძახის,
მეძახის, ხანძარს გადარჩენილი,
წაბლი, მუხა და ოქროს ვენახი!..
მეძახის შლეგი თეთრი მდინარე,
თეთრი ირმების ჯოგი
დამფრთხალი,
აამეტყველებს ღმერთი ჩინარებს
და ხელებს გიქნევს დოქი
დამთვრალი!..
მეძახის ელვის მწვანე ნახევი,
ნაკადულების სულის ნაჟური,
მეძახის უფლის ნაკარნახევი,
ნეტარ მეფეთა რწმენა კაჟური!..
– გესმით?! – ძახილი ისევ
გრძელდება,
მთვარემ გაშალა ოქროს
ლოგინი,
ღამეში სხივი აღმოცენდება,
მზისებრ ამანთებს გოგოს
ლოდინი!..
... მეძახის ლოდი – ლოდი
ვეება
და დაგორებას მთიდან აპირებს,
წინ აღმართულა საშინელება,
– მაგრამ მაინც ვერ
გაგვანაპირებს!!!.

## სამშობლო

სამშობლო მამის გული და
დედის თვალების მზერაა,
ღვთიური გაზაფხულიდან
– შემორჩენილი კერაა!..
სამშობლო – რწმენის კედელი,
გაუტეხელი გულია,
ქართველი – ხმლების მჭედელი,
მშვიდობის მოყვარულია!
სამშობლო ხარობს ნაყოფით,
წარსული ერის ძეგლია,
ქართული მიწის გაყოფით
რომ ხმება, მუხის ნერგია!
სანამ ქართველი მზეს ხედავს,
სანამ მზეს ჰყოფნის ნათელი,
მტერი ვერაფერს გაბედავს,
– კვლავ ააცრემლებს ქართველი!.

## უფლის ქაღალდი?!

უფლის ქაღალდი ფულია?!,
რომელიც ყველას გვჭირდება,
უფულო კაცი კრულია,
ცხოვრება გაუჭირდება...
უფლის ქაღალდი გახსოვდეთ,
ცხოვრების გზა და ხიდია,
ფულში სულს უნდა ვაქსოვდეთ?..
ცდუნება მართლა დიდია!
მეფემ ციხე რომ ააგოს,
ამისთვის ფული სჭირდება,
მტრებთან ომი არ წააგოს,
ფულით მზე ამობრწყინდება!..
წვიმა ვარ,მზე ვერ დამაშრობს,
მიწაში მიდგას ფესვები,
ფული ეშმაკურს თამაშობს,
ფულს სჯობნის შოთას ლექსები!..
ფული წარმართავს სამყაროს,
ვაი, რომ ყველას გვინდება,
– ფულო, ღმერთთან არ გამყარო,
სული არ გაიყიდება!

წიგნი

# „მეგრული საკითხი“

**გამომცემლობა „ლეგამ“ ახლახან დაბეჭდა აღიარებული იურისტის ვახტანგ გვარამიას და ცნობილი ისტორიკოსის პროფესორ გიორგი ციციშვილის სქელტანიანი (470 გვერდი) ფუნდამენტური მონოგრაფია „მეგრული საკითხი“ (სახელმწიფოებრივად გაყალბებული და ალტერნატიული ისტორია)“.**

წიგნში წარმოჩენილია ე. წ. მეგრული საკითხის დამკვიდრებული ვერსია, დღეისთვის ცნობილი წყაროების, აგრეთვე დამატებითი დოკუმენტების საფუძველზე გაანალიზებული და გაშუქებულია ამ საკითხის ისტორია. ავტორები დაასკვნიან, რომ „მეგრული საკითხისადმი“ სუბიექტურ-ვოლუნტარისტულმა დამოკიდებულებამ გამორიცხა სამეგრელოს ეფექტიანი, რაციონალური მართვის შესაძლებლობა.

წიგნში კრიტიკულად ფასდება ადრინდელი, ჩვენი და უცხოელი ავტორების „მეგრულ საკითხზე“ გამოთქმული ყველა ნააზრევი, რომლებშიც ლაპარაკია ანტიქართული მეგრული ნაციონალიზმისა და სეპარტიზმის არსებობაზე. ავტორებს მომარჯვებული აქვთ უამრავი ისტორიული წყარო და არგუმენტი, როგორც იტყვიან, ზღვა მასალა, რათა ახსნან ასეთი აზრების აღმოცენების მიზეზ-შედეგი.

„მეგრული საკითხით“ ანტიქართული სპეკულაცია განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს, რუსი აგრესორების მიერ შიდა ქართლსა და სამეგრელოს ოკუპაციის დროიდან გაძლიერდა. თანამედროვე რუსული პრესა, რომელიც მისი ხელისუფლების იმპერიული მისწრაფებების გამართლებისთვის არის მოწოდებული, გვიწინასწარმეტყველებს, რომ „ქართული პოლიტიკის უკმაყოფილო საქართველოს რეგიონები დაშლის ზღვარზეა“. ამის საილუსტრაციოდ აფხაზეთისა და შიდა ქართლის სეპარატისტთა ანტიქართული საქმიანობის გვერდით სამეგრელოს ცხოვრების ზოგიერთი გამოვლინების მიზნობრივი ინტერპრეტაციები მოაქვთ.

ვ. გვარამია და გ. ციციშვილი „მეგრული საკითხის“ საყოველთაოდ ცნობილი წყაროების და მხოლოდ მათთვის ხელმისაწვდომი უნიკალური მასალების მომარჯვებით ამტკიცებენ, რეალური ისტორია 1920-30-იან წლებში მიზნობრივად გაყალბდა, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ინტერესით შეითითხნა კონცეფცია და ფაქტოლოგია, რომელიც არაადეკვატურად ასახავდა სამეგრელოს, მათ შორის ზუგდიდის მაზრის მოსახლეობის პრობლემებს, განწყობილებებსა და დამოკიდებულებას დედასამშობლოს, დანარჩენი ქართველებისა და ქართული ენის მიმართ.

ავტორები გვარწმუნებენ, რომ ე. წ. „მაფალუელობა“ რეალურ ანტიქართულ პრაქტიკულ ტენდენციად და პროცესად არასოდეს გამოვლენილა, რომ მეგრული, ანტიქართული სეპარატიზმი, როგორც ეროვნული საშიშროება, მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური დაკვეთით შეკოწიწდა, იგი ოფიციალურმა




იდეოლოგიამ და ჩეკამ ადგილორივი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის მუდმივ საფრთხედ მოახვია თავს ქართველ საზოგადოებას, იმის ნაცვლად, რომ დროულად მოეგვარებინა ქართული ენის უცოდინრობის გამო წარმოშობილი მეგრელი გლეხის პრობლემები.

ეს ნაშრომი უაღრესად საინტერესოა არა მხოლოდ ისტორიკოსთათვის. წიგნის რედაქტორია პროფესორი **ოთარ ჯანელიძე,** რეცენზენტები – პროფესორები **დავით სანდოძე** და **გურამ კუტალაძე.**

**ალექსანდრე ავალიანი**

◎ წყალხტომა

# უნგრეთში, ევროპის პირველობაზე

**ბუდაპეშტში დღეს დაიწყება და ხუთ დღეს გასტანს ახალგაზრდა წყალბურთელთა ევროპის პირველობა. საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი ალექსანდრე ბართაია, მსაჯი ირაკლი ბართაიაძ შეჯიბრებაში ხუთი სპორტსმენი ჩაებმება.** 18-წლიანთა პირველობაზე ერთ და სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში იასპარეზებს შოთა კორახაშვილი, რომელიც რეიტინგითა და მომზადების დონითაც ფავორიტად ითვლება. ამავე ასაკში ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მოსინჯავს ძალებს სალომე ჯულელი.





თექვსმეტწლიანებში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ თეონა ყაჭეიშვილი (1-მეტრიანი ტრამპლინიდანძ, აკაკი ივანიშვილი (1 და 3-მეტრიანი ტრამპლინიდანძ და ალექსანდრე გუჯაბიძე (10-მეტრიანი კოშკურიდანძ. საგულისხმოა, რომ გუჯაბიძე ორი წლით უფროსებს გაუწევს მეტოქეობას, რადგან თავად 14 წლისაა.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: ისინი უნგრეთში გაემგზავრნენ.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

◎ ცურვა

# ძველკოლხურის აღორძინება

**საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტის“ თავმჯდომარის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ჰენრი კუპრაშვილის ინიციატივითა და „ლაგუნა ვერეს“ დირექტორის ვლადიმერ გოიაშვილის, ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების ასოციაციის პრეზიდენტის დიმიტრი დუნდუას თანადგომით სპორტკომპლექს „ლაგუნა ვერეს“ აუზში პირველად გაიმართა ეროვნული ჩემპიონატი ცურვა „ლაზურში“.** მის აღორძინებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ჰენრის, რომელმაც ჯერ კიდევ 2001 წლის 28 იანვარს ძველკოლხურით – ოთხგან ხელფეხშეკრულმა 2 კილომეტრი გაცურა, 2002 წლის ზაფხულში კი დარდანელის სრუტე დალაშქრა. ცურვის ეს სახეობა ძუძუმწოვრების სელაპისა და დელფინის ტალღისებურ მოძრაობასთან არის ოპტიმალურად მიხლოვებული, ავითარებს კუნთებს, რაც კლასიკურ სახეობებში მოასპარეზეებსაც გამოადგებათ.



„ლაზურით“ მოცურავეთა პირველ ეროვნულ ჩემპიონატში 48 სპორტსმენი მონაწილეობდა (მათ შორის სამი ბაქოელი გახლდათძ 50 მეტრ დისტანციაზე ქალთა შორის ჩემპიონი გახდა თბილისელი ანა ლომინაძე, ვაჟებში მსგავს წარმატებას მიაღწია თემურ კობახიძემ. 100 მეტრზე ფინიშთან პირველები მივიდნენ ანასტასია გრივაჩი და ირაკლი რევიშვილი, 400 მეტრზე ყველას ირაკლი შენგელიამ აჯობა.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. შეჯიბრების ორგანიზატორებს მატერიალური დახმარება თბილისის მერიამ, ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, პარლამენტარმა ბექან ხურციძემ, ბორჯომისა და მინერალური წყლების კომპანიამ და სააქციო საზოგადოება „ნატახტარმა“ გაუწიეს.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: დიმიტრი დუნდუა „ლაზურში“ პირველ ჩემპიონსა და პრიზიორებს აჯილდოებს.**

◎ კარატე

# გიორგობა ტატამზე



**ამ დღეებში არმიის სასპორტო კლუბში გაიმართა კავკასიის თასის გათამაშება კარატეში. ტატამზე 21 წლამდე ასაკისა და ვეტერანები გამოვიდნენ. ასპარეზობის ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია (პრეზიდენტი – კახა ბასილიაძ.**

მასპინძელთაგან განსაკუთრებით იყოჩაღეს კლუბ „შოტოკანის“ (უფროსი ინსტრუქტორი ჭაბუკა მახარაძეძ წევრებმა. მათ ანგარიშზეა კუმიტეში მოპოვებული სამი მედალი. გაუწყებთ პრიზიორთა ვინაობას.

**8-წლიანები. -40 კგ.** გიორგი გლურჯიძე (II ადგილიძ.

**11-წლიანები. -45 კგ.** გიორგი გოჩაძე (II ადგილიძ.

**11-წლიანები. -50 კგ.** გიორგი მეგრელიშვილი (III ადგილიძ.

**სურათზე: სარბიელზეა გიორგი გლურჯიძე (მარცხნივძ.**

◎ ფეხბურთი

# ბუნდესსეზონი ევროპაში

**წლეულს გერმანელებმა ევროპის 17-წლამდელთა და 19-წლამდელთა ჩემპიონატები მოიგეს. და აი, ალემანთა მორიგი ტრიუმფი – შვედეთში დასრულებული კონტინენტის 21-წლამდელთა პირველობის ფინალში ჰორსტ ჰრუბეშის შეგირდებმა ქვა ქვაზე არ დატოვეს ინგლისელთაგან – 4:0! ასე რომ, ძველ სამყაროში გერმანული ერა ბრუნდება.**



გადამწყვეტი მატჩის წინ საბუქმეიქერო კანტორები უპირატესობას ფეხბურთის სამყაროს შვილებს ანიჭებდნენ, მაგრამ მათ რატომღაც არ გაითვალისწინეს სტიუარტ პირსის გუნდის საკადრო პრობლემები: დისკვალიფიკაციის გამო სარბიელზე ვერ გამოვიდნენ ძირითადი მეკარე ჰარტი, დაცვის ბურჯი კემპბელი და დამრტყმელი ფორვარდი აგბონლაჰორი, რომლის გარეშეც კიდევ ერთი მრისხანე მოიერიშის უოლკოტის თამაში საგრძნობლად გაუფერულდა. მართალია, ამავე მიზეზით ვერც პრუსიელთა ბომბარდირი დეჟაგა დაეხმარა პარტნიორებს, მაგრამ მეტოქის დანაკლისთან შედარებით ეს ზღვაში წვეთი აღმოჩნდა.

სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურეს მასპინძლებმა, რომელთა მიერ ოთხ მატჩში გატანილი 12 გოლი თვალნათლივ მეტყველებს ლარს ლაგერბეკის გაწვრთნილი ნაკრების მდიდარ შეტევით პოტენციალზე.

რაც შეეხება სკანდინავიური ფორუმის მშვენებას, ეს გახლდათ შვედეთ-ინგლისის დრამატული ნახევარფინალური შეხვედრა, რომელიც „ტრი კრუნურმა“ კოშმარული პირველი ტაიმის (0:3ძ შემდეგ გადაარჩინა – 3:3, თუმცა პენალტების სერიაში მაინც დამარცხდა – 4:5.

**გიორგი შოთაძე**

◎ აღიარება

## გუს ჰიდინკი დოქტორი გახდა

**ფეხბურთში რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ორშაბათს ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორის წოდება მიიღო სამხრეთ კორეის ქალაქ ულსანის უნივერსიტეტში.**



ბოლო ხანებში ჰიდინკი ხშირად ღებულობს სხვადასხვა ჯილდოებს წარმატებებისთვის. მას შემდეგ, რაც ევროპის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, რუსეთის სპორტის მინისტრმა ვიტალი მუტკომ მას გადასცა მოწმობა „რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის“ წოდების მინიჭების შესახებ.

დიახ, გუს ჰიდინკს შემთხვევით როდი უწოდებენ ფეხბურთის ჯადოქარს.

◎ ინტერნეტიდან

## ფეხბურთმა ჟურნალისტი შეიწირა



**სამხრეთ აფრიკაში კონფედერაციის თასზე ესპანეთ-აშშ მატჩის შემდეგ საავტომობილო ავარიაში მოხვდა გერმანელი სპორტული ჟურნალისტი ვოლფჰანგ იოსტი.**

ავარია მოხდა 24 ივნისის საღამოს, ხოლო 29 ივნისის დილას ჟურნალისტი გარდაიცვალა. იოსტს, საინფორმაციო სააგენტოს SID რომ წარმოადგენდა, მატჩზე რეპორტაჟი უნდა დაეწერა.

ქალაქ ვინბურგის მახლობლად მანქანამ მართვა დაკარგა და გადაბრუნდა, მანქანაში იოსტთან ერთად მყოფი სამი კოლეგიდან ერთი სერიოზულად დაშავდა, ორი კი ტრავმებს გადაურჩა. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იჯდა მანქანის საჭესთან.

ორშაბათს ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა კონფედერაციის თასის გათამაშების შედეგებისადმი მიძღვნილ ბრიფინგზე სამძიმარი გამოუცხადა იოსტის ოჯახს, ბრიფინგის მონაწილეებმა კი წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ჟურნალისტის ხსოვნას.

## მთავარი გარეგნობაა და არა რეიტინგი

**ჩოგბურთელი ქალების ფიზიკური მომზადებულობა და არა მათი ადგილი მსოფლიო რეიტინგში არის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც, უიმბლდონის ტურნირის მონაწილე ქალები ღებულობენ სრულიად ინგლისის საჩოგბურთო კლუბის ცენტრალურ კორტზე თამაშის უფლებას, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი სპორტული მიმომხილველები.**



მაგალითად მოჰყავთ ამჟამინდელი რეიტინგით პირველი ჩოგბანოსანი, რუსეთელი დინარა საფინა. აქამდე მას ახლანდელი ტურნირის არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია ცენტრალურ კორტზე. „რასაკვირველია, ეს უპატიოსნობაა, მაგრამ განრიგს ხომ მე არ ვადგენ“, – უთქვამს დინარას.

უფრო მკვეთრად თქვა „როლანდ გაროსის“ წლევანდელმა გამარჯვებულმა სვეტლანა კუზნეცოვამ, რომელსაც არ ეღირსა ცენტრალურ კორტზე თამაში. სამაგიეროდ, ცენტრალურ კორტზე თამაშობს ვინუს უილიამსი.

ცენტრალურ კორტზე „ლამაზების ბრძოლად“ მონათლეს მარია შარაპოვასა და არგენტინელი ჟისელა დულკოს შეხვედრა.

## ოლიმპიური ჩემპიონი იქნებოდა

**მზიური ტეხასის მკვიდრი ელი ბეჯეტი მალე აღნიშნავს თავის 36-ე წლისთავს. ეს სექსუალური ქალბატონი, ესპანური და ფილიპინური სისხლი რომ უდუღს, ახლა ზეწარმატებული მოდელია. თუმცა, შეიძლება, ოლიმპიური ჩემპიონიც კი გამხდარიყო.**



ბოლო ხანებში მასზე დიდი მოთხოვნაა – დიდი გამოცემებისთვის, მათ შორის „პლეიბოისთვის“ მუდმივი გადაღებები და ა. შ.

ალბათ, ყველაფერი ჩვეულებრივად წარიმართებოდა, მაგრამ ელიმ მოულოდნელად მოიწყინა, თურმე ახალგაზრდობაში ის დიდი იმედებს იძლეოდა სპორტში. თავი მძლეოსნობასა და კალათბურთში გამოსცადა, მაგრამ უკანასკნელში სიმაღლე არ ეყო.

თუმცა დაღონება მას არ უხდება. ელი ცნობილი მოდელია. რომელიც გადაიღეს ვარსკვლავების ბევრ კლიპში, მაგრამ ლამაზმანს ეს არ ამშვიდებს. მას ყველაფრის გაწირვა შეუძლია ოლიმპიური მედლისთვის.

**რა განძი გვქონია!**

# მიწისქვეშა საქართველოს გვინათებდა ჯურხა!



**ამ დარჩეულ, ერთიმეორეზე უკეთეს შვიდ დედმამიშვილში (ექვსი ძმა და ერთი და) ჯურხა მაინც სხვა იყო... ხომ განუზომლად უყვარდათ და უყვართ ამ ზემოიმერულ, ჭორვილელ ნადირაძეებს ყოველივე ქართული და მამულიშვილური, ჯურხა მაინც სხვა იყო...** მას სამშობლოს, საგამზრდელოს მიწისქვეშეთიც კი აინტერესებდა და ბავშვობიდანვე, ყმაწვილობიდანვე იმის მზეზე გამოტანას ცდილობდა, რასაც იმერეთის მიწა მრავალი საუკუნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდა. თუმცა, რაღა თქმა უნდა, მიზნის მისაღწევად პროფესიული განათლების მიღება იყო საჭირო და ჯურხაც დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის განხრას ამთავრებს. მისი საყვარელი პედაგოგები, პროფესორები ოთარ ჯაფარიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, იულონ გაგოშიძე, დავით ხახუტაიშვილი, ხოლო, მოგვიანებით, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, დიდ იმედებს ამყარებდნენ მომავალ არქეოლოგზე და ჯურხაც, როგორც იტყვიან, იმედს ამართლებს. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ბატონი შალვა ამირანაშვილის ინიციატივით იქმნება წინაფეოდალური ხანის კულტურისა და ხელოვნების არქეოლოგიის განყოფილება, რომლის გამგეც, 1966 წლიდან სიკვდილის ბოლომდე, ჯურხა ნადირაძე იყო. ხორცს ისხამს მისი ოცნება — მშობელი ადგილების მიწისქვეშეთის „ამოტრიალებისა", იქმნება ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ჯურხა ნადირაძე ხელმძღვანელობდა. და დაიწყო უდიდეს აღმოჩენათა სერია ყვირილის ხეობაში, კერძოდ, სოფელ საირთხეში, მოდინახეზე, ჯიეთში, რგანში... არქეოლოგიური ექსპედიცია საჩხერის რაიონში ჯურხა ნადირაძის ხელმძღვანელობით მრავალი წლის განმავლობაში პოულობს ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, სპილენძის უძვირფასეს ექსპონატებს, სამეთუნეო ნაწარმს, საბრძოლო იარაღებს, სამკაულებს, ყოველდღიური მოხმარების საგნებს და ასე შემდეგ.



იგი დღეს 80 წლისა იქნებოდა. ნაადრევად წავიდა ჩვენგან და გული დასწყვიტა ყველას, ვინც მისი დიდი პროფესიონალიზმის, მისი კაცობის ფასი იცოდა.

და აი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სწორედ გამოჩენილი არქეოლოგის 80 წლისთავს მიეძღვნა ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექპონატების გამოფენა, ანუ დამთვალიერებელს გადაეშალა უმდიდრესი მასალა — ჯურხა ნადირაძისა და მისი მეგობრების მრავალი წლის ნაშრომ-ნაღვაწი ხუთასამდე ექსპონატი...

— ბატონი ჯურხა ქუდბედიან არქეოლოგად ითვლებოდა, — მეუბნება მუზეუმის ასისტენტი **გოჩა ლომთაძე,** — სადაც კი დაარტყა ნიჩაბი, ყველგან უნიკალური ძეგლი აღმოჩნდა. მას სხვათა ნაკვალევზე არ უვლია და სულ პირველაღმომჩენის სიხარულით იცხოვრა. სასიამოვნოა, რომ ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობას დიდად უწყობს ხელს ბატონი ბიძინა ივანაშვილის ფონდი „ქართუ" და ახალ-ახალი აღმოჩენები გრძელდება. ჰოდა, ექსპედიციას მადლობის მეტი რა ეთქმის ბატონი ბიძინასა და მისი მეუღლის ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძის მიმართ.

* * *

მუზეუმის მეორე სართულზე, სანამ საგამოფენო დარბაზში შეხვიდოდეთ, კედლიდან გადმოგვცქერის ჯურხა ნადირაძე არქეოლოგიური ექსპედიციების დროს ფოტომასალაში გაცოცხლებული... იგი უსაყვარლესი პიროვნება იყო შემოქმედებითი ინტელიგენციისა. ფოტომასალების გვერდით გამოტანილია ჩვენი სიტყვის ოსტატების პოეტური სტრიქონები — მიძღვნილი საყვარელი მეგობრისადმი.

**მუხრან მაჭავარიანი:**
**ჯურხავ, ნადირო**
**კლდის წყაროვ,**
**ადამიანო ცინცხალო,**
**ხან კარგო,**
**ხან საზიზღარო,**
**ცისკარო, იმერთ ცისკარო,**
**სხვებს რომ ჰგონიათ,**
**ის არ ხარ,**
**მე რომ მგონია, —**
**ის ხარო.**

**მორის ფოცხიშვილი:**
**ხელს ნუ ჩაიქნევ ურწმუნოდ,**
**სულ უიმედოდ ნუ ხარ!**
**მიწაზეც საქართველოა,**
**მიწაშიც საქართველოა,**
**და ცაშიც საქართველოა,**
**ჯურხა!**

* * *

რა ვქნა, ნადირაძეები, ცხონებული ასანათი დაწყებული, თავის მეგობრად მთვლიან და მეც ვცდილობ, სიყვარულს სიყვარულით ვუპასუხო... სად ეცალა, სულ ექსპედიციაში იყო, მაგრამ მაინც შევხვედრივარ რამდენჯერმე ბატონ ჯურხასაც. უყვარდა მამაკაცური ლხინი და პურისჭამა, სიმღერა, ლექსი და თვითონაც რომ შესანიშნავად ფლობდა ქართულ სიტყვას, ამის დასტურია ჩვენი ნორჩებისთვის განკუთვნილი წიგნები სამყაროს შექმნაზე, დედამიწაზე ფლორისა და ფაუნის წარმოშობაზე ნიჭიერად, დიდი ფანტაზიით მონათხრობი. მეც მისახსოვრა ეს წიგნები გულთბილი წარწერით...



ახლაც ყურში მიდგას მისი გულითადი საუბრები და ხშირ-ხშირად ჩართული ზემო იმერული — „შენ ჩემი ბატონი ხარ"...

კაცი კვდება, საქმე რჩება, ჯურხა ნადირაძის მიერ აღმოჩენილი მიწისქვეშა საქართველოს აუწონავი განძით თაობები იამაყებენ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათებზე: ჯურხა ნადირაძე; გამოფენის ექსპონატები.**

---

**ორიოდ სიტყვით**

## სიმართლით გასხივოსნებული წიგნი

**ახლახან, წიგნის კარადაში ჩემთვის საჭირო ლექსიკონს რომ ვეძებდი, ცნობილი პოეტის და საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის მემუარული ხასიათის ნაწარმოები „ომრი" მომხვდა ხელთ. კიდევ ერთხელ წავიკითხე იგი და, ასევე კიდევ ერთხელ, დავრწმუნდი, რაოდენ ლამის მომნუსხველი ძალა აქვს ოსტატის ხელით ქაღალდზე გადმოტანილ თითქოსდა ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ისტორიას.**

ამის გაკეთება მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვანს ძალუძს, რადგან ამ ნაწარმოებში წარსულის რეალური მოვლენებია აღწერილი, რომელთა მონაწილე ან მხილველი თვით ავტორი იყო, და, რომელთაც, სწორედ ამის გამო, მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, ხელოვნურად ვერ შეცვლი თუ „გაამხატვრულებ".

ამ ნაწარმოებში აღწერილია ოჯახური გარემო ბატონი ფრიდონის მშობლებისა და ოჯახის სხვა წევრების საქმიანობა. გაშუქებულია ავტორის ბავშვობის, ჭაბუკობისა და გვიანდელი პერიოდი. გადმოცემულია მთიანი აჭარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ცალკეული საინტერესო ეპიზოდები, გარემო, რომელშიც ყალიბდებოდა და იწრთობოდა მომავალი პოეტის ხასიათი.

ოთხმოც წელს გადაცილებულ პოეტს ოსტატურად აქვს გამოყენებული მის მიერვე შედგენილი დღიურები, რომლებიც აცოცხლებენ სხვადასხვა დროს მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების სურათებს და უფრო მიმზიდველს ხდის მათ მკითხველისთვის. ამ მოთხრობას, ისე როგორც მთელ მის პოეზიას, ასაზრდოებს სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი, სამხრეთ საქართველოს ისტორიული ბედი, ერთიანობის იდეა.

„ომრის" უმთავრესი დანიშნულება წარსულის გაცოცხლება და მისი ცხოველი სურათების მომავალი თაობებისთვის გაცნობაა. წიგნს ღირსებას მატებს ისიც, რომ ავტორის თხრობა მხოლოდ წარსულით კი არ იფარგლება, არამედ ლოგიკურ კავშირს პოულობს ტრადიციებსა და თანამედროვეობას შორის.

ბატონ ფრიდონს ვუსურვებ, კიდევ დიდხანს ემოღვაწეოს, ჯანმრთელობა არ მოკლებოდეს, იხაროს თავის მადლიან, სიკეთით აღსავსე ოჯახთან, შესანიშნავ შვილებთან, შვილიშვილებთან, ნათესავებთან და კეთილისმყოფელებთან ერთად და ქვეყნის სასიკეთოდ.

**ჯუმბერ მაღლაფერიძე**

---

**SIC!**

## რუსი ჯარისკაცები აფხაზეთში არასრულწლოვანებსა და მოხუცებს აუპატიურებენ

**აფხაზურ სოფელ ახალსოფელში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა რუსმა სამხედროებმა არასრულწლოვანი გააუპატიურეს.**

ტელეკომპანიის ინფორმაციით, არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურებას მეზობელი შეესწრო. რუსმა სამხედროებმა ადგილობრივ მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო სროლის შედეგად ერთი რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. იგი ქალაქ კრასნოდარის ჰოსპიტალში გადაიყვანეს. გავრცელებული ინფორმაციით, მოკლულია ასევე გაუპატიურებული გოგონას ბიძა. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას რუსმა ოკუპანტებმა ქალაქ ოჩამჩირეში ხანდაზმული ქალი გააუპატიურეს.

## ხიშბა საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს

**სოხუმში აფხაზეთის სპეციალური დანიშნულების სამხედრო დაზვერვის განყოფილების უფროსი მოკლეს.**

შემთხვევა სოხუმის ცენტრში მოხდა. ხიშბა მაკაროვის სისტემის იარაღით საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს. არსებობს ვერსია, რომ მოკლული პოლიტიკურ დაპირისპირებას ემსხვერპლა. ხიშბა ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის, ბესლან ბუთბას მხარდამჭერია.

სავარაუდოდ, მისი ლიკვიდაცია აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების სურვილით მოხდა. ცნობილია, რომ დაკავებულია ბუთბას ახლო ნათესავი ვალნერ ბუთბაც, რომელიც სოხუმის ცენტრში დაგეგმილ ბესლან ბუთბას მხარდამჭერი აქციის ორგანიზატორი იყო.

მის სახელს უკავშირდება რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა. ის რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა აიყვანეს. ბუთბას იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა ედება ბრალად. ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება სეპარატისტული რეჟიმის ე.წ შს მინისტრმა და პროკურორმაც გააკეთეს.

## მოსკოვში სამი ქართველი „გასტროლიორი" დააკავეს

**მოსკოველმა სამართალდამცავებმა საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს, რომლებსაც ბინების ძარცვაში ედებათ ბრალი. შს სამინისტროს მოსკოვის საოლქო სამმართველოს თანამშრომელთა ინფორმაციით, დაკავებულებს ჩხრეკის დროს ნაძარცვი ნივთები აღმოუჩინეს.**

წინასწარი მონაცემებით დაკავებულებმა — ბერიძემ, კვირიკაშვილმა და ინაშვილმა მოსკოველის ბინა გაძარცვეს, საიდანაც ოქროს ნივთები, საიუველირო ნაკეთობები და ძვირფასი ბეწვის ქურქი წაიღეს. ნაძარცვის ნაწილი უკვე ამოღებულია, — იუწყებიან სამართალდამცავები.

ამას გარდა, რუსი სამართალდამცავებისათვის ცნობილი ხდება ის, რომ საქართველოს სამი დაკავებული მოქალაქე რუსეთის დედაქალაქში უკვე ერთი თვის განმავლობაში ჩაწერის გარეშე ცხოვრობდა, თანაც სხვადასხვა მისამართებზე.

**ინტერპრესნიუსი**

---

## განცხადება

### აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ

**გურამ მეპურიშვილი წარმოადგენს სს „მერანის" მიერ გამოშვებულ აქციათა 98,8 პროცენტის მესაკუთრეს და მას სურს საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესებისათვისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53 4-ე მუხლის თანახმად, აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესით, სამართლიან ფასად გამოისყიდოს დარჩენილი აქციები.**

გურამ მეპურიშვილის მიერ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადებით სასამართლოსთვის მიმართვის შემდეგ, სასამართლო განსაზღვრავს გამოსასყიდ აქციათა სამართლიან ფასს.

სასამართლოს მიერ გამოსყიდვის საალრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დამთავრებამდე წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია.

მყიდველი დარჩენილ აქციათა გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტორთან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს.

**მისამართი: ნაძალადევის რ-ნი, ქსნის ქ. №12.**

---

**რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ ნანული შაყულაშვილს დედის**
**ანნა ცხვედაძის**
**გარდაცვალების გამო.**

---

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

## ექო



# მხატვრის დაისი

### რეზო ადამიას „ჩამავალი მზეების“ ხილვისას

დუმს პალიტრა გულს
სხივებით –
ყაყაჩოს მზით აივსებს...
შეჰპარვია კოლხეთის თოვლს
მხატვრის სულის დაისი.
ცრემლში ია გაიშლება
ჩურჩულით და ცათევით...
კი არ ჩადის, მზე ამოდის –
ფიროსმანის სანთელი...

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### „გადავარჩინოთ ბავშვები“ – ოღონდ გაუქმებული ტორტისგან

**გორის საავადმყოფოში ინტოქსიკაციით ათი მოზარდი მოათავსეს.**

მოწამვლა სავარაუდოდ, ტორტმა გამოიწვია. სოფელ დიცის საჯარო სკოლაში არასამთავრობო ორგანიზაციამ „გადავარჩინოთ ბავშვები“ სპორტული ღონისძიება მოაწყო, სადაც ბავშვებს თბილისიდან ჩატანილი ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ.

ექიმები ვარაუდობენ, რომ ინტოქსიკაცია სწორედ მალფუჭებადმა საკვებმა გამოიწვია. ამ დროისათვის 10 ბავშვიდან საავადმყოფოში 8 ბავშვი რჩება. მათი მდგომარეობა სტაბილურია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## სხვა გაზეთიდან



# „ფრთხილად, აქ ტანკები დადიან!“

### პოპულარული რუსული გაზეთის „ტრუდ-7-ის კორესპონდენტებმა მსოფლიოში აღმოაჩინეს ყველაზე უჩვეულო საგზაო ნიშნები

**გაზეთი თავისი მიგნების შესახებ თხრობას იწყებს იმ ფაქტით, რომ ტაილანდში სოფელ ხუანგ კონგის მახლობლად უხუცესებს უნდათ, დადგან საგზაო ნიშანი „აკრძალულია გვამების დაყრა!“ და ამთავრებს იმით, რომ თურმე ჩრდილოეთ ირლანდიაში არის საგზაო ნიშანი „ფრთხილად, სნაიპერი მუშაობს“. და იმითაც, რომ როგორც რუსეთში, ისე დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში ყოფილა გამაფრთხილებელი საგზაო ნიშანი „ფრთხილად, აქ ტანკები დადიან!“ აბა, რამდენ მსხვერპლს ავიცილებდით, შარშან რუსული ჯარების შემოსევის დროს ასეთი საგზაო ნიშნები თან რომ ჩამოეტანათ და დაპყრობილ ადგილებში დაედგათ.**

ჩანს, როგორც ჩვენი მაღალჩინოსნებიც კი ამბობენ, შარშანდელი მძიმე გაკვეთილები, შესაძლოა, ახლო ხანში ისევ განმეორდესო, ზოგი პირდაპირ რიცხვსაც კი ასახელებს – ეს 6 ივლისს დაიწყებაო და მოსახლეობაში პანიკას სთესავენ.

თუმცა მოდით, „ტრუდ-7“-ის მილიტარისტულ აღმოჩენებს თავი დავანებოთ და სხვა „უსიამოვნო“ არაფორმალურ საგზაო ნიშნებზე ვისაუბროთ.




**„კოცნა აკრძალულია!“** – უამრავი ასეთი საგზაო ნიშანი გამოუკრავთ ბრიტანეთის ქალაქ უორინგტონის რკინიგზის სადგურის მთელ ტერიტორიაზე. თუმცა რკინიგზის ხელმძღვანელობა მალე მიხვდარა, რომ ამით ბევრს ვერ გახდებოდა და ის ნაკლებად ირონიული ფირნიშით შეუცვლია – **„ჩქარა მაკოცე!“**

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების წინაშე გაშიშვლება საბერძნეთში აკრძალულია, კუნძულ კრიტზე უამრავი ნუდისტური პლაჟია. ერთ-ერთი მათგანის ხელმძღვანელობას შესასვლელთან გამოუკრავს არაორაზროვანი შეტყობინება: **საცურაო კოსტიუმებსა და ფოტოაპარატებით შესვლა აკრძალულიაო.**

ბევრ ქვეყანაში ავტომოყვარულებს აფრთხილებენ სპეციალური ნიშნებით, თუ ამ ადგილებში რომელი ცხოველები ბინადრობენ. მაგალითად, ტაილანდში ჰკიდია ნიშანი, მძღოლებს მოხეტიალე სპილოების შესახებ რომ აფრთხილებს. ისინი ხომ მნიშვნელოვნად აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას და ხშირად გზებზე „საცობებსაც“ იწვევენ.

**„ფრთხილად, კენგურუა!“** – ასეთი ნიშანი იშვიათი როდია ავსტრალიაში.

ახალ ზელანდიაში, ომარუს შემოგარენში ბუდობენ პატარა ცისფერი პინგვინების კოლონიები. ისინი ცხოვრობენ სახლებში – პინგვინიკებში. დილით პინგვინები ზღვაში საბანაოდ მიდიან, საღამოს კი უკან ბრუნდებიან. ხშირად მათი გზა ჰკვეთავს გზატკეცილებს, რაზეც სპეციალური ნიშნებით აფრთხილებენ მძღოლებს.

კანადაში, ნიუფაუნდლენდის კუნძულზე ჩვეულებრივი მოვლენაა ლოსსთან შეხვედრა, ავტომოყვარულებს ახალი, გაუმჯობესებული ნიშნით აფრთხილებენ, რომ ასეთი მოულოდნელი შეხვედრა, შესაძლოა, მათი ავტომანქანის სერიოზული რემონტით დამთავრდეს.

**„პოზორ დეტი!“** (Pozor Deti!ძ – მას ჩეხეთის გზებზე შეხვდებით, ის რუსული არ გეგონოთ და პირდაპირ ნუ თარგმნით, ჩეხ ბავშვებს სასირცხვილო არაფერი სჭირთ, ნიშანი კი გვეუბნება **„ყურადღება, ბავშვები!“**

ბრიტანელებმა კი პენსიონერებზეც იზრუნეს, შესაბამისი ნიშნები ჰკიდია ხანდაზმულთა სახლებთან, საავადმყოფოებთან.

შვედეთსა და საფრანგეთში საგზაო ნიშნები მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა ზონებზე კი არ იტყობინებიან, არამედ იმაზეც, რომ ის დამთავრდა.

კუბაში არ არის მკვეთრად გამოხატული საგზაო ნიშნები. ყველა კუბური საგზაო ნიშანი ექსკლუზიურია. მათ ხელით ხატავენ. თანაც ერთი და იგივე საგზაო ნიშანი სხვადასხვანაირად გამოიყურება. პატარა ქალაქებში კი დღესაც შეხვდებით საბჭოურ საგზაო ნიშნებს რუსული წარწერებით(?!ძ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კი იმ ქალაქებში, მექსიკის საზღვრებთან რომ მდებარეობენ, ხელისუფლებამ გამოჰკიდა ნიშნები, რომლებიც აფრთხილებენ: გზა, შესაძლოა, გადაკვეთონ არაკანონიერმა იმიგრანტებმაო.

**P.S. თქვენი არ ვიცი და ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნებოდა, ზოგიერთი ასეთი საგზაო ნიშანი ჩვენც რომ შემოგვეღო!**

**„ტრუდ-7“**

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასძ ქ. №19. ტელ: 99-62-77.

## კადრი



## ანეკდოტები

მეცამეტე ხელფასის გაცემისას ყველას რატომღაც მყისიერად ავიწყდება, რომ ეს რიცხვი თარსია.

* * *

ტელევიზია – ეს ხალხის მონაპოვარია. ახია მაგაზე.

* * *



ლუდი კაცობრიობის უდიდესი მიღწევაა. არა, ცხადია, ბორბალიც მნიშვნელოვანი გამოგონებაა, მაგრამ თევზისა და ბორბლის კომბინაცია მაინც ის არის...

* * *

– ვასკა, რატომ ყვიროდა წუხელ ასე გამწარებული შენი ცოლი?! – ეკითხება მეზობელი.
– ბიბლიოთეკისთვის.
– ბიბლიოთეკაში იყავი?
– ჰო.
– მერე რატომ ყვიროდა?
– ქალის ტრუსებით დავბრუნდი სახლში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.